



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ავტონომი  
(ელული)  
№8 (481)  
(5781)  
2021

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

### რაბინთა დიდი ყრილობა

ივლისის ბოლო დღეებში აღმა-ათაში გაიმართა რელიგიური მოძრაობა „ხაბადის“ რაბინთა დიდი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ცხრა სახელმწიფოს: რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ესტონეთის, ლიტვის ორასზე მეტმა წარმომადგენელმა. მიმდინარე წელს ეს ყოველწლიური ყრილობა მე-6 ლუბავიჩელი რაბის ლევი იცხაკ მნეერსონის ხსოვნის — იორცაიტის დღეს მიეძღვნა. იგი 1944წ. სწორედ ყაზახეთში გარდაიცვალა.

რაბინთა ყრილობას წერილობითი მისალმება გაუგზავნა ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა. ყრილობას მიესალმა აგრეთვე ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი.

„ხაბადის“ რაბინთა ყრილობისადმი ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილის მისალმება

გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას, როგორც ყრილობის დღეებში, ასევე მის მომდევნო პერიოდში ჩვენი საერთო საქმის სასიკეთოდ — ებრაული ტრადიციებისა და კულტურის გაფრთხილებისა და განვითარების საქმეში. ევრაზიის ებრაელთა კონგრესი კვლავაც განაგრძობს იმ წამოწყებათა მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია ევრაზიის რეგიონში ებრაული ცხოვრების წესის განვითარებისაკენ.

მის.მირილაშვილი



יוסף, אהא אנהא רבנות ומוצות ר' ד' תוי'מ' י'ח'ש'ה י'ח'ש'ה

### ოჰ, ეს ებრაელები — რას არ მოიფიქრებენ...

#### რომაელი ებრაელი რით შვილა ისტორიაში

ალბერტ ეინშტეინი — შექმნა ფარდობითობის თეორია  
ანდრე ციტრონი — ავტომობილი „სიტროენი“  
ალექსანდრ ლურია — ნეიროფსიქოლოგია  
ალექსანდრ სამოილოვი — ელექტროფიზიოლოგია, ანატომი რაპოპორტი — კავშირი ენასა, აზროვნებასა და ქმედებათა შორის,  
ალექსეი აბრიკოსოვი — ზეგამტარ შენადნობთა მაგნიტური თავისებურებების თეორია,  
ავგუსტ ვასერმანი — სიფილისის დიაგნოსტიკის მეთოდიკა,  
ალექსანდრ მინცი — დამაჩქარებლის მუშაობის ახალი პრინციპი,  
ანდრეი ბუდკერი (გირშ იცოვიჩი) — ციკლური დამაჩქარებლების თეორია,  
ბარუხ (ბენედიქტ) სპინოზა — ეთიკური ფილოსოფია,  
ბეტი ფრიდენი — ფემინიზმი,  
მაქსი ბორნი — ქვანტური მექანიკა,  
ბორის როზინგი — ტელეხედვა,  
ბორის იაკობი — ელექტროძრავა და გალვანოტექნიკა,  
ბარუხ ბლამბერგ — ჰეპატიტის ანტიგენი,  
ბრუნო პანტეკოროვი — ნავთობის საბადოთა დაზვერვის ნეიტრონული კაროტჟის მეთოდი,  
ბორი ნილს ჰენრიკ დავიდი — ატომური რეაქციისა და ბირთვული ენერჯის თეორია,  
ბერგი პოლ — გენური ინჟინერია,  
ბეტე ჰანს ალბრეხტი — ამოხსნა ვარსკვლავთა ენერჯის წყარო,  
ბრინი სერგეი — Google,  
ბორის ზბარსკი (ბერ ელივიჩი) — მიიღო ბაქტერიოციდი, რითაც დააბალზამეს ვ.ლენინი,  
გერცი გუსტავ ლუდვიგი — ქვანტური მექანიკა  
ვლადიმირ ხავკინი — შეიმუშავა ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა,  
ვაქსმანი — შეიმუშავა ანტიბიოტიკი,  
გრიგორი პინკუსი — შექმნა ჩასახვის საწინააღმდეგო აბები,

დეგო აბები,  
გადოვსკი ლეოპოლდ — ფერადი ფოტოგრაფია, გურევიჩი მიხეილი — მიქოიანთან ერთად წარმოებაში დაწერა „მიგ-1 და სხვა „მიგ“-ები, ქალწული მარიაში-იესო ქრისტეს დედა, მეფე დავითი — ფსალმუნები, ჯეიმს მაქსველი — ელექტრომაგნიტური ველის თეორია, ზელმან ვაქსმანი — ტუბერკულოზის მკურნალობა. სტრუბტომიციანი. ზიგმუნდ ფრეიდი — ფსიქოანალიზი, ისრაელ ბაალ შუმ ტოვი — ხასიდიზმი, ისააკ ზინგერი — საკერავი მანქანა. იესო ქრისტე და წინასწარმეტყველები — ქრისტიანობა იოსებ შკლოვსკი — თანამედროვე ასტროფიზიკა, იზიდორ რაბი — რადიოსპექტროსკოპია, გაბრიელ ილიზაროვი — ძვლების გამოყვანის მეთოდი, იური კონდრატევი (შარგეი) — რაკეტის მოძრაობის ძირითადი გათვლა, ქრისტოფორ კოლუმბი — აღმოაჩინა ამერიკა, კაზიმირ პანკი — შექმნა ვიტამინი, ლეონიდ კანტოროვიჩი — პროგრამირება, ჯოზეფ კოტინი — მძიმე ტანკების —2, -16, -85, მუხლუხებიანი ტრაქტორი-17, ჯონ კამენი — შიჩ და ინტერნეტი, კასენა რენიე — ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, ლევი სტრაუსი — ჯინსები, სიმონ ლავოზიანი (აიზიკოვიჩი) — თვითმფრინავები სერიისა JA და JAG, ფრთოსანი რაკეტა „ბურია“, გაბრიელ ლიპმანი — ინტეგრალური ფოტოგრაფიის მეთოდი, ედუარდ ლურია — ბაქტერიების გენეტიკა, ლუდვიგ ზამენგოფი — ესპერანტო, ლევ ლანდაუ — ჰელი-2, ზემდინარების თეორია, კონდენსირებული მატერიის თეორია, ლეონიდ უტესოვი (ვაინსბენი) — საბჭოთა ჯაზი, მოსე — (მოშე) — რელიგია და ბიბლია, ოტტო მეიერგოფი — ბიოქიმია,

მარსელ მარსო — (ისელ ისელოვიჩი) — პანტომიმა, ილია მეჩნიკოვი — შედარებითი პათოლოგია, მოშე ნოსტრადამუსი — გამოუცნობი სწავლებანი, ალბერტ მაიკელსონი — ინტერფერომეტრი, მილტონ ფრიდმანი — მონეტარული ეკონომიკის თეორია, მატვეი ბრონშტეინი — გრავიტაციის ქვანტური თეორია, მიხეილ მილი — „MI“ სერიის შვეულმფრენი, ნორბერტ ვინერი — კიბერნეტიკა, რობერტ ხოფსტედტერი — რენდგენული და გამასხივების მრიცხველი, სამუელ მორზე — ტელეგრაფის აპარატი და მორზე-ეს ანბანი, პავლე ტაგერი — საბჭოთა ხმოვანი კინომატოგრაფი, ედუარდ ტელერი — ატომური და წყალბადის ბომბი (სხვებთან ერთად) თეოდორ ჰერცლი — პოლიტიკური სიონიზმი, უილიამ ფოქსი — კინოკოპორაცია „XX საუკუნე ფოქსი“, ფერდინანდ კონი — მიკრობიოლოგია, ალექსანდრ ფრიდმანი — თეორია „დიდი აფეთქებისა“ და თანამედროვე კოსმოლოგია ალექსანდრ ფერსმანი — გეოქიმია, ხაიმან( ხაიმ) ჯორჯ რიკოვერი — ატომური წყალქვეშა ნავი, ფრიდრიჰ სამუელ განემანი — ჰომოპათია, ხაიმ ვეიცმანი — აცეტონის წარმოების ახალი მეთოდი, ემა გოლდმანი — თანამედროვე ანარქიზმი, ედვინ ლენდი — ფოტოაპარატი „პოლაროიდი“ და საჯაშუშო მიყურადლების სისტემა, ერის ფრომი — ნეოფრეიდიზმი, ედმუნდ ჰუსერლი — ფენომენოლოგია, ემილ კიო — ურიცხვი ფოკუსები, ედუარდ ბენედიქტუსი — ტყვიავაშუშკარი შუშა, იალოუ როზალინ სასმენი — სისხლში ინსულინის განსაზღვრის მეთოდი.



# კოტე ლერნერი 80 წლისაა!

რეჟისორი (პროფესორი)

დაიბადა თბილისში (კუკის უბანში) 1941 წლის 11 ივლისს. „მე მეექვსე თაობაში თბილისელი ვარ-ო“, ამბობს ხოლმე (მისი წინაპარი - სამხედრო მკერავი სოლომონ სალმანი- თბილისში უკრაინიდან 1812 წელს გადმოსახლდა). 1967 წელს ცოლად შეირთო ლარისა (ია) მეგრელიშვილი და ამდენად ბატონი კოტე ჩვენი სიძეც არის.

1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა... თუმცა იქ დიდხანს ვერ გაჩერდა. 1960 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტში, კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ( ესეც არჩევანი !)... უნივერსიტეტში გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერების მოწაფე გახდა. მის მასწავლებელთა შორის იყვნენ აკადემიკოსები არნოლდ ჩიქობავა, თინათინ შარაძენიძე, თამაზ გამყრელიძე და მრავალი სხვა... 1968 წლიდან - 1990 წლამდე იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1989-ში კი - სადოქტორო...

1990 წელს მთელი ოჯახით ( მას ერთადერთი ვაჟი - ბორისი - ჰყავს) გადასახლდა ისრაელში, სადაც 1991 წლიდან იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის პროფესორის (Professor of the GEORGIAN Studies) ნოდება მიიღო. ივრითიც ისწავლა (სხვა რაღა გზა ჰქონდა! ებრაელების ბედია - დედა ენა სიბერეში შესასწავლი გვაქვს!). იერუსალიმის უნივერსიტეტში წლების განმავლობაში კითხულობდა ქართული ენის დანყებით კურსს და საქართველოს ისტორიის შესავლის კურსს - ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ებრაელთა უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად მოხდა... იქვე კითხულობდა საქართველოს ებრაელთა თემის სოციალური ისტორიის მის მიერვე შექმნილ სემესტრულ კურსს...

პროფესორი კონსტანტინე ლერნერი ოთხი მონოგრაფიის ავტორია ( სტატიების რაოდენობა ზუსტად არც იცის - თუმცა ასსზე მეტი მაინც არისო - ქართულად, რუსულად, ინგლისურად, ივრითსა და გერმანულად ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში გამოქვეყნებული).

ნიმანდობლივია, რომ ოთხი წიგნიდან - სამი რეპატრაციის მერე უკვე იერუსალიმშია მომზადებული. 2003 წელს იერუსალიმის უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოვიდა კოტეს მიერსტუდენტების დახმარებით(ქართული ენის შესწავლასთან პარალელურად)ივრითულად თარგმნილი უძველესი ქართული მატრიანე - „მოქცევაი ქართლის“ -ას ქრონიკა და „ წმ. ნინოს ცხოვრება“ (ივრითულად წიგნს ჰქვია „ნიცურა-შელ ქართლი“).

ამ გამოცემას ახლავს დეტალური ინდექსები და ვრცელი კომენტარები. ამრიგად ჩვენს უძველეს ენაზე - ივრითზე- პირველად ამეცხველდა მდიდარი ქართული ისტორიოგრაფიისა და აგიოგრაფიის ნიმუში, რამაც



ისრაელის ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლების ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ოქსფორდის უნივერსიტეტში ერთი წლით მივლინების (მაბათიკალ) შედეგად 2004 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოვიდა მისი შემდეგი მონოგრაფია - „The Wellspring of Georgian Historiography“ („ქართული ისტორიოგრაფიის საწყისები“).

ქართული, ინგლისურ-ბერძნული და ივრითული წყაროების შედარების გზით დადგინდა ქართული მატრიანეების ერთ-ერთი წყარო - რომაელი ისტორიკოსის დიონ კასიუსის „რომის ისტორია“. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ მე-4 საუკუნის ქართლში ცნობილი ყოფილა აგრეთვე ძველი ივრითული ფოლკლორული რომანი- „სეფერ ალექსანდერ მუკდონ“ ( „ალექსანდრე მაკედონელის წიგნი“), რომელიც რომაული ისტორიოგრაფიის მოტივებზეა აგებული. კერძოდ დადგინდა, რომ სწორედ ივრითული ნაწარმოების გავლენის შედეგად რომაელი მხედართმთავრის პომპეი დიდის ქართლში ძვ. წ. ა. 65 წლის შემოსევა ქართულ მატრიანეებში „ქართლში ალექსანდრეს შემოსვლად“ იყო გაგებული. აქედანვე (ივრითული რომანიდან) მომდინარეობს ქართლის მეფის -არტაგის ( რომელიც ქართლში სწორედ პომპეის ლაშქრობის დროს მეფობდა) „სახელი“ - არიკ, როგორც ამას „მოქცევაი ქართლისას“ ქრონიკა უწოდებს...



დებს...

ქართველ ებრაელთა ისტორიის კურსი საბოლოო ჯამში 2008 წელს რუსულენოვან მონოგრაფიად ჩამოყალიბდა- „Евреи Грузии“, რომელიც ისევ იერუსალიმის უნივერსიტეტში გამოიცა. ამ გამოცემაში ავტორი ცნობილი ქართველი ისტორიკოსის აკადემიკოსის გიორგი მელიქიშვილის მსგავსად ქართლში ებრაელთა თემის დაარსების პერიოდად ელინისტურ ხანას მიიჩნევს და დამატებითი არგუმენტების მოწმობით ამტკიცებს, რომ ეს ძვ. წ. ა. მე-2 საუკუნეში უნდა მომხდარიყო, ასურეთში სელევიდების მეფობის დროს. ძველი ალექსანდრიის და ქართული ენობრივი და ეთნოგრაფიული მასალის გამოყენებით კ. ლერნერი გვიჩვენებს, რომ ძველ ქართლში, დაახლოებით მე-4 - მე-5 საუკუნეებამდე, ე.წ. „ფეოდალურ რევოლუციამდე“ იუდეველთა თემი ჯერ კიდევ „დაბადების“ წიგნიდან ცნობილი „ გერების“ ან ქართულად „მსხემების“ კოლექტიური სოციალური სტატუსით სარგებლობდა. და მამასამდე ქართლის სამეფოში გერობის // მსხემობის ბიბლიური ინსტიტუტი მოქმედებდა, რაც ქართლის უძველესი დედაქალაქის - არმაზის- ერთ-ერთი უზნის დასახელებაშიც აისახა - „მსხემთ უბანი“, შემდგომში - მცხეთა...

ორი (ქართული და ებრაული და უფრო ფართო- სემიტოლოგიური) მეცნიერულ-ჰუმანიტარული ტრადიციის შეხამებამ პროფესორ ლერნერს საშუალება მისცა ახლებურად გაეშუქებინა საქართველოსა და, ნაწილობრივად, ებრაული ისტორიის ზოგი საკითხი. კერძოდ, სხვადასხვა სამეცნიერო სტატიაში ნაჩვენებია, რომ ქართველური ტომი- მესხები მეშეხისა და მოსოხის სახით, ორჯერაა ნახსენები ძველი ალექსის წიგნებში; რომ პროტო-ქართველური ერთობისდაშლა გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ეს ზოგჯერ ითვლება; რომ ასურულ მეფეთა სალაშქრო წარწერების თანახმად, მესხები, ტაოხები და კოლხები ძვ. წ. ა. მე-12 საუკუნეში უკვე დიდი ხანია ცალ-ცალკედ ცხოვრობენ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენენ...საერთოდ, სემიტური ენობრივი და ისტორიული მონაცემები ქართველურ ტომთა ე. წ. „გრძელ ქრონოლოგიას“ უჭერენ მხარს და გვაფიქრებინებენ, რომ პროტო-ქართველური ტომები უძველესი მესოპოტამიური (აქადურ-შუმერული და ხურიტული) ცივილიზაციების თანამედროვენი და თანამონაწილენიც იყვნენ...

აი უკვე 30 წელია კოტე იერუსალიმში ცხოვრობს, მაგრამ მეგობრულ და მეცნიერულ კავშირს საქართველოსთან არ წყვეტს... და ამიტომ სულაც არ არის შემთხვევითი, რომ 2016 წელს კოტე ლერნერი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად იქნა არჩეული.

ვუსურვოთ სახელოვან მეცნიერს კიდევ მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობა, ახალი მეცნიერული წარმატებანი და, რაც მთავარია, ჯანმრთელობა. „ად მუა ვეესრემ - ას-ოც წლამდე“ - ძვირფასო ბატონო კოტე.





# მთავარი რაბინის სადაგი დღეები

ირინა ზიზილიაშვილი-იოსებაშვილი



საპატრიარქოში

ივლისის დასაწყისში მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბი იაკობ გაგულა (გაგულაშვილი) საქართველოს კვლავ ენვია საქმიანი ვიზიტით, რომლის ფარგლებშიც არაერთი შეხვედრა ნგამართა, როგორც თბილისში, ასევე სხვა რეგიონებში.

9 ივლისს რაბი იაკობ გაგულაშვილი საქართველოს საპატრიარქოში მიიწვიეს; გულთბილად უმასპინძლეს-საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა და სინოდის სხვა წევრებმა. საუბარი მეგობრულ, საქმიან გარემოში წარიმართა და, პირველ ყოვლისა, შეეხო საქართველოში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, ამ ურთიერთობათა სამეცნიერო-კულტურულ, სოციალურ ასპექტებს.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა და მღვდელმთავრებმა მადლობა გადაუხადეს რაბი იაკობს ა. წ. იანვრისთვის მის მიერ გაკეთებული ოფიციალური მიმართვისათვის, რომლითაც მან საქართველოში ხელოვნურად აგორებულ ფსევდოანტისემიტურ ისტერიას უპასუხა და ყველას, განსაკუთრებით კი დიპლომატიური კორპუსის გასაგონად განაცხადა:

„რა იყო ჩვენი წარსული საქართველოში? სულ მცირე 26 საუკუნის ხანდაზმულობის ერთმანეთის პატივისცემა და მეგობრობა... ორი კულტურა ისტორიულად ერთმანეთს კი არ ავიწროებდა, არამედ ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა; და ასე - მტრები კი არა, მოყვრები იქცევიან.“

... ილია მეორესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს... და მე სრულიად

თამამად ვაცხადებ, რომ წარმოუდგენელია იმ დიდ ოჯახში, რომლის მამამთავარიც საქართველოს პატივცემული პატრიარქი გახლავთ, ანტისემიტობი სუნთქავდეს.“ - ნათქვამი იყო განაცხადებში.

მეუფე შიომ და მეუფე ანდრია მზახასთან ალნიშნეს, რომ ასევე ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ რაბი იაკობის განცხადების სულისკვეთება, რომლითაც მან ივლისის თვის მოვლენები შეაფასა (ე. წ. „პრაიდის“ თემით გამწვანებული), საზოგადოებას სიმშვიდისკენ მოუწოდებდა და ოჯახის სინმინდის, ტრადიციების და ეროვნული ფასეულობების აღმატებულება აღიარა.

„თორაში გვინერია, რომ ცის კაბადონზე გამოფენილი ცისარტყელა გამჩენის გაჯვარების ნიშანი გახლავთ. ადამიანები კი ზოგჯერ გააზრებულად, ზოგჯერ კი გაუცნობიერებლად მას დროშად აფრიალებენ, გამჩენისაგან დაწესებული ბუნების წინააღმდეგ წასვლას ნორმად გვინებს. რა გასაკვირია, რომ ჩვენს უძველეს რელიგიებს ამაზე საერთო აზრი ჰქონდეს? ნუ ეძიებთ ანგელოზთა შორის ადამიანს, ნურც ადამიანთა შორის ანგელოზებს - არ არსებობს! ეძიეთ ადამიანი ადამიანში, და ვამბობ, განსაკუთრებით მედიის საყურადღებოდ, დიდი ადამიანია საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ინებოს გამჩენმა მისი დღეგრძელობა და ჯანმრთელობა მრავალჟამიერ“ - განაცხადა ჟურნალისტებთან რაბი იაკობმა.

საქართველოს პატრიარქი და რაბი იაკობისაუბრისას შეეხნენ „მრგვალი მაგიდის“ საკითხს, რომელიც მათი ინიციატივითა და თაოსნობით 2019 წლის

ავგისტოში დაფუძნდა, მიმოიხილეს სამუშაო პროორიტეტები. რაბი იაკობმა ყურადღება გაამახვილამის ავტორობით შექმნილი ინტერვიუ, სახელწოდებით „მამის ნაამბობი“, რომელსაც სულ მალე, ივლისის ბოლოს იხილავს მკითხველი. „ეს გახლავთ თორის კომენტარების ფრაგმენტების კომპილაცია - ჩემი საჩუქარი მთელი მსოფლიოს ქართველთა მიმართ მკითხველისათვის, - სიმბოლო იმისა, რომ ენა, რომელზეც ჩვენი მამა-პაპა 2600 წლის მანძილზე ასწავლიდა თორას, დავინწყებას არ მიეცემა. თუკი ჩვენი წინაპრები იერუსალიმიდან ერთი თორით წამოვდებოდნენ, ჩვენ უკან ორით დავბრუნდით - ივრითულითა და ქართულით. ამ წიგნით მე მადლობას ვუხდის საქართველოს და ქართველ ხალხს“ - აღნიშნა რაბი იაკობმა. „დიდ საქმეს აკეთებთ, უფალი შეგენით“ - გულთბილად დაემვიდობა პატრიარქი სტუმარს.

ამავე ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ მინისტრთან და მთავრობის სხვა წევრებთან გაგრძელდა დანერგული დიალოგი, რომლის პროორიტეტი გახლავთ მსოფლიოს ებრაული დიასპორის ჩართულობა საქართველოში დასახლების საკითხებში, ამისათვის საორგანიზაციო-საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება, წარჩინებული ქართველი ებრაელების მოზილიზება საქართველოს განვითარებისათვის, რათა მან დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი რეგიონში და სტრატეგიული პარტნიორების გვერდით.

საქართველოს და ისრაელს შორის სწრაფად მზარდი ტურიზმის ფარგლებში, დღეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქაშურთის საკითხები. რაბი იაკობმა ამ ვიზიტის ფარგლებში მოინახულა

მიესალმა მონაწილეებს, დალოცა და წარმატებები უსურვა.

15 ავგისტოს რაბი მიიწვიეს თბილისში მდებარე აშქენაზების სინაგოგაში („ბეთ რახელ“), სადაც მან დიბრე თორა ჩაატარა და ძალზე საინტერესო თემებზე ისაუბრა.

16 ივლისის დილას რაბი იაკობი, თანმხლებ პირებთან ერთად, ბათუმში გაემგზავრა. მოინახულა ძველი სინაგოგის ტერიტორია, ებრაელთა სასაფლაო, ილოცა და იქადაგა ბათუმის ახალ სინაგოგაში. ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით, აჭარის დედაქალაქში ბევრი ებრაელი ტურისტი გახლდათ ჩამოსული. ბატონი რაბი შეხვდა არა მხოლოდ ადგილობრივ თემს, არამედ ჩამოსულელებსაც, მოისმინა მათი პრობლემები, ხაზგასმით გამოიკვეთა, რომ ბათუმის ჯამაათს აკლია მიკვე და ეს საკითხი სასწრაფოდ საჭიროებს მოგვარებას.

აჭარაში ყოფნისას რაბი იაკობმა მოინახულა 2 ადგილი, რომლებსაც სურთ ქაშურთის მიღება. დაისახა გეგმები საკითხის გადასაჭრელად.

9 აბის დღეს ციონის ტერილის ჟამს სენაკში შეხვდა რაბი იაკობი ჯამაათთან ერთად, რომელთა უმეტესობა ამ დღისათვის უცხოეთიდან საგანგებოდ ჩამოვიდა. მათ შორის გახლდათ დოქტორი იცხაკ მიხელაშვილი ოჯახთან ერთად, რომლის დამსახურებაც გახლავთ სენაკის სასაფლაოს შეკეთება და მონესრიგება.

სენაკში რაბი ხახამ ბენ ციონის საფლავი ახალი სახურავის ქვეშ შეფარებული-დახვდათ, საფლავის ქვაზეც უამრავი კენჭი იყო დალაგებული. ჩანდა, მრავალი მოდიოდა დიდი რაბის ხსოვნისათვის პატივის მისაგებად. ცრემლიანი თვალით



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან

ებრაელების მიერ ახლადგახსნილი სასტუმრო CRON PALACE – TBILISI, შემომამდა დაწესებულებაში ქაშურთის დაცვის საკითხები, რათა მინიჭებულ იქნას „მე-ჰადრინ მინ ჰა-მეჰადრინ“-ის სტატუსი და საქართველოში ჩამოსულ ებრაელებს საშუალება ჰქონდეთ იცხოვრონ, დაისვენონ და იკვებონ საუკეთესო ქაშურ ადგილას. ასევე, შესაბამისი პროცედურების დაცვით, ქაშური ღვინის ხარისხობრივი ნოდება მიეცა კახეთის ღვინის სანარმოში ჩამოსხმულ რამდენიმე მარკის საუკეთესო ღვინოს. ეს პროცესები კვლავ გაგრძელდება.

თბილისში ყოფნისას რაბი იაკობი რამდენჯერმე შეხვდა ჯამაათს, რამდენადაც ამის საშუალებას ეპიდემიოლოგიური სიტუაცია იძლეოდა, პასუხებივაცა მრევლის შეკითხვებს ალახების, წესების დაცვის შესახებ.

ალსანიშნავია, რომ სასტუმროში, რომელშიც ბატონი რაბი დაბინავდა, განთავსებული გახლდათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ებრაელები. ამიტომ, სირთულეს არ წარმოადგენდა მინიანის (10 მამაკაცი ლოცვის ჩასატარებლად) შეკრება და არაერთი ქვეყნიდან საქართველოში თავმოყრილმა ისრაელისშვილებმა რაბი იაკობის თაოსნობით შაბათს ერთობლივად აღავლინეს ლოცვა გამჩენის სადიდებლად.

ამავდროულად, რაბი იაკობი მიწვეული გახლდათ ადვოკატთა და იურისტთა საქმიან თავყრილობაზე, რომელსაც სასტუმრო „კატაში“ მასპინძლობდა. იგი

შეაძახა იქ მყოფთ რაბი იაკობმა: რასაც თქვენ აკეთებთ, მოდიხართ წინაპართა საფლავებზე, ქვას ადებთ, კადიშს კითხულობთ, მათ წმინდა სულელებს იხსენიებთ, აი, ესაა მიცვალებულის გაცოცხლება. ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი ილოცებენ ჩვენზე და დაგვლოცავენ ხანგრძლივ სიცოცხლეზე, რათა მრავალჟამიერ არ დავივიწყოთ მათი სახელები. იმ დღეს რაბი იაკობმა მიაკითხა ბაბუის, დედის მამის საფლავს, რომელსაც ქვაზე ჯერ კიდევ გარკვევით აწერია: ისრაელ ისრაელაშვილი, აბრძანდა რომ ჰაშანის დღეს 1966 წელს. მოინახულეს მალხაზ ხუნდიაშვილის ბებია-ბაბუების საფლავები; თავად ბატონი მალხაზიც გახლდათ ჩამოსული.

იმ დღეს წინაპრების საფლავები „გაცოცხლდა და გაფერადა“ სენაკში, ქუთაისში, ისმოდა კადიშის მოდულენე სიტყვებიდა თითქოს ყველაფერმა ძველებური ელფერი დაიბრუნა.

ისრაელში დაბრუნებამდე რაბი იაკობს ინტერვიუს ჩასაწერად შეხვდა თბილისში. საუბრისას მან ბრძანა: ბევრი ებრაელი აკითხავს წინაპართა და ჩვენი დიდი ცადიკების საფლავებს. მე ეს ჩემი თვალთ ვნახე და დიდად ვხარობ, რომ ამაოდ არ გაქრა ჯამაათისთვის მრავალგზის ნათქვამი ჩემი სიტყვები - თუ ცადიკების საფლავებს აკითხავთ ხოლმე, ჩვენმა რაბებმა რა დასაშვებ? მიდით მათ საფლავებთან, მიდით და პატივი მიაგეთ, ისინი არავიზე ნაკლებნი არ არიან...


20 ივლისს რაბი იაკობი ერეც ისრაელში დაბრუნდა.



სენაკში, რაბი ბენციონ ეფრემაშვილის საფლავთან



# რწმენა კოსტასტროვის პრაზი



ვანალიზებით რა ევროპის ებრაელთა კატასტროფის დოქტრინიოლოგი საფუძვლებს, ჩვენს წინაშე ისახება მის არსსა და რაობაში წვდომის ორი ძირითადი მიდგომა: პირველი მათგანი წარმოსახავს ტრაგიზმით აღსავსე იმ შავბედივით ფაქტს, რაც უკავშირდება ღვთაებრივი ნების გამოვლენას და გვიბიძგებს ამტანობა-მოთმინების გამოჩენისაკენ, ხოლო მეორე მდგომარეობა ასახავს შექმნილ ტრაგიკულ ვითარებასთან იჭყენულ დამოკიდებულებას, გაუგებრობიდან რომ ვლინდება და წარგვმართავს ღვთაებრივი ქველობის იდეისადმი ამბოხებისაკენ.

განსჯა-განკითხვის ეს უკანასკნელი მიმართულება მიგვიყვანს თანამედროვე რადიკალური თეოლოგიის ებრაულ ვარიანტთან. ცხოვრების და ღვთაებრიობის უფლებებელყოფას რომ წარმოსახავს. მაგრამ, სინამდვილეში საკითხი ამგვარად უნდა დაისვას: ვის გააჩნია ამ საშინელ პრობლემაზე მსჯელობის უფლებამოსილება? იმას, ვინც საკონცენტრაციო ბანაკთა ჯოჯოხეთი და გაზის ღუმელებში ნათესავ-მეგობართა დაღუპვა განიცადა, თუ მას, ვისაც კატასტროფის შესახებ ნაუკითხავს, ან მოუსმენია? ან იქნებ, ეს ყოველივე თავის წარმოსახვებში აღუქვამს.

შუძლებელია ერთგვარი იყოს ამ ადამიანთა პასუხი. ის, ვინც იქ იყო, ყვრდნობა კაცობრიობის ისტორიაში შეუდარებელ უნიკალურ გამოცდილებას.

რარიგ ღრმადაც არ უნდა განეცადათ მსხვერპლთა წამება და მარტვილობა იმათ, რომელნიც არ იყვნენ იქ, - ისინი, ანუ კეთილდღეობით აღვსილი ჩვენი თანამედროვე რადიკალური თეოლოგები, საკონცენტრაციო ბანაკებისა და კრემატორიუმებისაგან შორს დარჩებიან მარად. თეოლოგი მსჯელობაზე დაფუძნებული მათი პასუხი ისეთივე გონებაჭყრეტი იქნება, როგორც არის მათი გამოცდილება.

რა თქმა უნდა, რადიკალურ თეოლოგთა კატასტროფისადმი ამბოხის კონცეფცია დიამეტრალურად უპირისპირდება კატასტროფის „ამტანობა-მოთმინების“ კონცეფციას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ საერთო მნიშვნელოვან მანკს გააჩნიათ - ისინი იქ არ ყოფილან. ორივე მხარის პასუხი არაადადეკატორია, რამე თუ არცერთ მხარეს არ ძალუძს, დაამყაროს კატასტროფის სამყაროსთან კავშირი. ვინც იქ არ იყო, მან უნდა დაუყურადღოს იმას, რომელიმე კატასტროფა განიცადა. დიას, იმ დროს, მრავალმა ადამიანმა დაკარგა რწმენა. ეს გასაგებია. ისინი აღმოჩნდნენ იმ დემონურ გეჰენიამში, რომელიც თავისი შემადრწმუნებელი საშინელებით ნებისმიერ ადამიანურ წარმოსახვას აჭარბებს. მივიჩნევთ, რომ თავად ღმერთმაც უწყის ეს და მათ ბრალს არ სდებს. ნუთუ, ჩვენ ძალგვიძს კატასტროფისადმი მათი დამოკიდებულების გათავისება და რწმენისადმი ამბოხი? აკი იქ არ ვყოფილვართ. მე არა მაქვს უფლება, უგულვებელყო რწმენა თუნდაც იმიტომ, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში ათასობით და ათიათასობით ადამიანი მტკიცე რწმენით გახლდათ შერწყმული ღმერთთან. ისინი ემორჩილებოდნენ ღვთაებრივ გზას. ჩვენ არ ძალგვიძს დამორჩილება, რამეთუ ჩვენმა ძმებმა გამოიარეს რა გეჰენიის ბნელ-უკუნიით, აღავლინეს ხმა ღაღადისა, ხმა ამბოხისა, ღაღადი უკუთქმისა და გმობისა. რარიგ ძალგვიძს დაუყურადღოთ მათი გეჰენიური მარტვილობისა ვაებას, მივეცეთ დამონებას და ქედმოხრას?!

ჩვენ თავს ვხრით წმინდან-კედომითა ნათელი ხსოვნის წინარე, რომელნიც გაზის ღუმელებისკენ ვიდოდნენ ბაგეთაგან არეული სიტყვებით: „ანი მაამინ“ - „მე მწამს“. ჩვენ მუხლს ვიდრეკთ აგრეთვე იმ ებრაელთა ნათელი ხსოვნის წინაშე, რომელნიც გაზის ღუმელებისკენ რწმენადკარგულნი მავლობდნენ, რამეთუ ის, რაიც მათ განიცადას აღებატბოდა

ზეადამიანურ ძალეს. სატანურმა ძალამ მოაკვდინა მათი რწმენა. მრავალმა ჩვენგანმა არ იცის, როგორ შეინარჩუნოს რწმენა. არსებითად, გაცილებით ადვილია გავიგოთ, საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანებმა რად დაკარგეს რწმენა, ვიდრე ის, რარიგ შეძლეს მათ მისი შენარჩუნება. ამგვარ პირობებში რწმენის შენარჩუნება ზეადამიანური საქციელია, ადამიანური არსის მინიერებაზე ამაღლება. ჩვენთვის ადამიანურ უფრო ახლო არის, ვიდრე ზეადამიანური. რწმენა წმიდაა, მაგრამ ნაცისტურ გეჰენიამში რწმენის უქონლობა და რწმენისადმი ამბოხიც წმიდაა.

სასიკვდილო ბანაკებში რწმენის უქონლობა, ინტელექტუალური შრომის შედეგი როდია; შავბედივით ძალების მიერ მილიონგზის მოკვდინებული რწმენაც წმიდა ურწმუნობაა. ის, ვინც იქ არ ყოფილა და მიუხედავად ამისა, მზაობით იღებს კატასტროფას, როგორც ღმერთის ნების გამოვლინებას, რომლისადმიც დაეჭვება არ შეიძლება, ბილწავს იმათ წმიდა ურწმუნობას, რომელთა რწმენა ბიროტების სატანურმა ძალამ მოაკვდინა. მაგრამ ის, ვინც ურყევი გულდაჯერებით უერთდება რწმენის უარმყოფელს, ბილწავს იმათ წმიდა რწმენას, მათ მიერ შენარჩუნებული რომ იყო გეჰენიის ვითარებაში. ალბათ, შეიძლება ნაყილდეთ უფრო შორს და ვთქვათ: ამტან-მოთმინი მორწმუნე, რომელიც არ იყო იქ, მაგრამ უდრტვინველად ეთანხმება ექვსი მილიონი ებრაელის მოსპობა-განადგურებას, თავისი რწმენით აბინიერებს სასიკვდილო ბანაკებში განწირულთა რწმენას. წმიდა სულისკვეთების ადამიანებს, იქ რომ არ იყვნენ და ნაცისტური წამება არ გამოუვიდათ, ვითხოვთ: ნუთუ. იცით, რა არის რწმენა? როგორ ბედავთ შეურიგდეთ იმ ტანჯვა-წამებას, რაიც არ განგიცდიათ? სჯობს, დუმდეთ! მაგრამ თავისი ურწმუნობის მასწავლებელიც ბილწავს გაზის ღუმელებისაკენ მავალთა წმიდა ურწმუნობას. რწმენადკარგულ კატასტროფის მსხვერპლებს ძალუძთ, რომ ჩვენს რადიკალურ თეოლოგებს აუწყონ: „თქვენ როდი განიცადეთ ის, რაიც ჩვენ განიცადეთ და რარიგ ბედავთ რწმენის დაკარგვაზე საუბარს?“

კრემატორიუმელთა წმიდა რწმენის გვერდ-გვერდ კატასტროფა-გადაულახველთა რწმენა-ფულგარულობაა. მაგრამ ურწმუნობა განსაკუთრებით ინტელექტუალისა, დოვლათით აღვსილ საზოგადოებაში რომ სუფევს, სიკვდილის ბანაკთა წმიდა ურწმუნობების გვერდ-გვერდ, უგვანობა და უხამსობაა.

იობის წამება ჩვენ არ განვიცდითა და ვერ გავბედავთ ვუპასუხოთ ისე, როგორც მან ღმერთს უპასუხა. ჩვენც უნდა ვიყოთ გაცხუბებული, რამეთუ თავად იობი იყო შეცხუბული. ამგვარი ვითარება სუფევდა კატასტროფის შემდეგ. მხოლოდ სწორედ ასე მივალწვეთ სწორ პასუხამდე თუკი ის რეალობაში სუფევს. ჩვენი გაუგებლობის ზღუდის განილდვას სწორედ ასე მოვახდენთ. ამის კეთება შეუძლებელია მამინ, თუ რწმენის ელვარებას და მის წმიდა დანაკარგს არ გავაბინიერებთ კატასტროფის გეჰენიამში. და თუ ვერ შევძლებთ ზღუდის განილდვას, მამინ ამოცანის ერთადერთი უმნიშვლო ამოხსნა ზღუდის მიღმა დარჩება. დასმულ კითხვას, ვიდრე ვეძიოთ დამშვიდება და დაამება გულცივი რწმენის სიყალბესა და მცდარობაში ანდა ურწმუნობის არარობაში ადამიანებისა, რომელნიც თავიანთ უღლუფას იღებენ მეტისმეტად მოყრჩეპული და მამდარი საზოგადოების მავალითიდა.

### ადამიანი და კატასტროფა დასავლეთის დემოკრატია

მართლზომიერი იქნება, რომ ადამიანს - ისტორიისადმი პასუხისმგებელ ქმნილებას - მივმართოთ კითხვით: „სად იყო ადამიანი კატასტროფის ყამის?“ ვიდრე დავსვათ კითხვა „სად იყო ღმერთი?“ აქ, ჩვენ არ დავინებთ ფაქტების თხრობას, ევროპის ებრაელობის მოსპობას რომ უკავშირდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ებრაელობისადმი სიძულვილით დასწებობებული იყო, თითქმის, მთელი

ევროპა, პოლონელები, ლიტველები, უკრაინელები, სლოვაკები, უნგრელები და რუმინელები არ საჭიროებდნენ გერმანელთა განაკუთრებულ მონოდებებს. ნაცისტებს მრავალი მათგანი აჭარბებდა არაადამიანურ, მხეცურ სიმკაცრეში.

ფრანგები, პოლანდელები და ჩეხები ოდნავ ჩამორჩებოდნენ მათ. აქ, ჩვენ განვიხილავთ კატასტროფისადმი „თავისუფალი სამყაროს“ დამოკიდებულებას. ავსახავთ ეკლესიათა, მოკავშირე სახელმწიფოთა და ზოგიერთი ნეიტრალური ქვეყნის ებრაელთა მავსვიანობისადმი მიდრეკილებას. ჩვენ არ გავიმეორებთ ცნობილ ფაქტებს. ისტორიული მოვლენები წარმოსახულია კომპეტენტურ ავტორთა მიერ. ისეთი ნიგნები, როგორიც არის „კათოლიკური ეკლესია და ნაცისტური გერმანია“, ანდა „ამერიკული აპათიის ქრონიკა“, დოკუმენტურად ამტკიცებს მსოფლიოს გულგრილ დამოკიდებულებას კატასტროფისადმი, რარიგ დუმდა „თავისუფალი სამყარო“, უჭერდა რა მხარს გენოციდს, ზოგჯერ კი თანაუგრძობდა მხეცური ინსტინქტით შეპყრობილი ადამიანებს, დასაქმებული რომ იყვნენ ხალხის მოსპობა-განადგურების სატანური ქმედებით. ზემოთხსენებულ წიგნთა ავტორები ავლენენ შთაბეჭდვად ფაქტებს. ჩვენი მიზანია, გამოვიკვლიოთ მსოფლიოს დაუდევრობის მორალური ასპექტი და მისი შედეგები თანამედროვე კაცობრიობის წინაშე წარმოვსახოთ.

ჰიტლერელთა დამნაშავეობისადმი მოკავშირე ზესახელმწიფოთა გულგრილ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ხშირად გაისმის საბრალდებო, გამამტყუნებელი მტკიცებულებები. მაგრამ ეს როდია უბრალოდ გულგრილი დამოკიდებულება, არამედ ებრაელთა შესაძლებელი გადარჩენის გეგმათა ნამდვილი საბოტაჟი. ევიანში (შვეიცარია) და ბორმუდის კონფულტზე შედგა ორი ფარისევლურ-თვალთმაქცური, ცინიური კონფერენცია, ლტოლვილთა ბედობის გადამწყვეტს რომ მიეძღვნა. ამ მატყუარა, და ცრუპენტელა კონფერენციამ გერმანელებს გაუშხილა, მსოფლიო არ არის მზად, ებრაელებს დახმარების ხელი გაუწოდოს. ამით ამ ნაცისტური გერმანიის შავბედივ გეგმათა განხორციელება შესაძლებელი იქნა მიჩნეული. ომის დასაწყისში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ არ გავრცელებულიყო ინფორმაცია ნაცისტური გერმანიის მხეცური ქმედების თაობაზე; ამერიკის მესვეურები შიმობდნენ, რომ ამ ინფორმაციის გაუფრთხა, გამოიწვევდა საზოგადოებრიობის დაჟინებულ მოთხოვნას, როგორმე დახმარებოდნენ მსხვერპლს. არტურ მორსის მოჰყავს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემები, ჟურნალ „ფორჩუნში“ რომ გამოქვეყნდა (1939 წ.) ჩეხოსლოვაკიის დაყოფა-დანანევრების შემდეგ. დასმულ კითხვას: „თქვენ, რომ იყოთ კონგრესის წევრი, რამდენად დაუჭერდით მხარს, საემიგრაციო კვოტის გადიდებს ევროპელ ლტოლვილთათვის?“ გამოკითხულ ამერიკელთა 83 პროცენტმა უარყოფითად უპასუხა, 3 პროცენტმა ეჭვს გამოთქვა და მხოლოდ 8,7 პროცენტმა განაცხადა „მომხრე ვარ“. „ამერიკის ტრადიცია, - შეაჯამა „ფორჩუნმა“ - გამოცდის წინარე წარდგომა და გამოცდა ვერ ჩააბარა, სამარცხვინოდ ჩაიჭრა“. მთელი ომის მანძილზე საემიგრაციო კვატა არ გადადებულა. პირიქით, თითოეული ლტოლვილის წინარე ადმინისტრაციულ დაბრკოლებათა ისეთი ზღუდე აღიმართა, რომ იმიგრანტთა რაოდენობამ ნებადართულ მაქსიმუმსაც კი ვერ მიაღწია.

ამერიკის დაბრიტანეთის მთავრობათა შემთანხმებული პოლიტიკის ყველაზე სამარცხვინო აქტად „სან-ლუისის“ და „სტრუმას“ ხომალდებთან დაკავშირებული ისტორია ისახება. ინგლისის უარი „სტრუმას“ მგზავრთა ერეც ისრაელში შემგებასთან დაკავშირებით და ამერიკის მიერ „სან-ლუისის“ ლტოლვილებზე ყადაღის დადება, რაიც მათ დროებითი თავშესაფრის შესაძლებლობასაც კი არ ანიჭებდა, მომაკვდინებელ განაჩენად გაისმა. ებრაელები „სტრუმასთან“ ერთად,

დაიღუპნენ. ის ფაქტი, რომ „სან-ლუისის“ მგზავრები გადარჩნენ, სრულიად არ მიენერება აშშ-ის დამსახურებას. ხომალდი, როდესაც ბელგიას, პოლანდისა, საფრანგეთს და ინგლისს მიუახლოვდა დასალუპად განწირულნი შეიბრალეს და მათ თავშესაფარი მისცეს. ბოლოს, როდესაც გერმანელებმა დასავლეთი ევროპა დაიპყრეს, რამდენიმე მათგანი დაიღუპა.

შემზარავია, რომ ორივე შემთხვევაში, ძლევამოსილმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს დახმარების აღმოჩენაზე არა რომელიმე დიდი პრინციპის გამო, არამედ უბრალოდ ხელი ჩაავლეს, რადაც უცნაურ რუტინულ წესს, რაიც მორალურად არ შეიძლება გამართლებული იყოს. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა იცოდა რა, რომ გერმანიამ დაბრუნება ებრაელთათვის გარდაუვალ დაღუპვას ნიშნავდა, პატრიოტის ღრმა დაჯერებულობით განაცხადა: „მე ფიცად ვავად, რომ საშობლო დრომ დავიცვა და აღვასრულო კანონი ჩემი ქვეყნისა, თქვენ კი მთხოვთ ამ კანონის დარღვევას“. ნუთუ, ეს არგუმენტი განსხვავდება ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა მიერ წარდგინლ არგუმენტთაგან - ფიურერისა და სამშობლოსადმი ფიცის დადებას რომ ასახავს?!

მოკავშირე სახელმწიფოებმა ებრაელთა წინააღმდეგ ნაცისტ დამნაშავეთა მიერ ჩადენილ დამნაშავეობათა ოფიციალური მდუმარე დაგმობაც კი არ ინებეს. 1940 წელს მსოფლიომ შეიტყო რა რიხის ათიათასობით ებრაელთა პრობლემით დეპორტაციის შესახებ, სახელმწიფო მდივნის ერთ-ერთმა თანაშემწემ მემორანდუმში გამოაქვეყნა, სადაც წერდა: „ამ ცნობათა 20 პროცენტიც რომ იყოს მართალი, მისადმი უნდა გამოვავლინოთ „ჰუმანური დამოკიდებულება“, რამეთუ ჩვენ არ ძალგვიძს ვიყოთ მონანილე იმ წამოწყებისა, რომელიც საბოლოოდ სანქციონირებას აძლევს ასეთ სასტიკ და უღმირად ქმედებას მასობრივი მასშტაბით“. სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხი იუნყებოდა, რომ მასობრივი მკვლელობა ეს გერმანიის საშინაო საქმეა. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაჟამს „მან კამპოვა“ გამოიცა, ცხადი იყო, რომ ეს ბედკრული ადამიანები გარდაიქმნებოდნენ ყოველგვარი სახის არასწორი მოპყრობის ობიექტად. ეტყობა, დეპარტამენტის აზრით, „ჰუმანურიობა“ იმაში მდგომარობდა, რომ ნაციზმის მსხვერპლნი მოეხსენებინათ „ბედკრულ ადამიანთა“ წოდებით. ეს მიუთითებს იმას, სახელმწიფო ვის თანაუგრძობდა ამერიკის მთავრობა. არსებობდა ერთი მოთხოვნილება - მხოლოდ და მხოლოდ „არასწორი მოპყრობა“, რის შესახებაც მსოფლიოს წინასწარ აფრთხილებდნენ.

ებრაელი ხალხის გენოციდის მთელი პერიოდის მანძილზე მოკავშირე სახელმწიფოებს არ გამოუქვეყნებიათ არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაგმობდა ნაცისტური გერმანიის მხეცურ ქმედებას. 1943 წელს გამოქვეყნებული მოსკოვის დეკლარაცია, რომელიც ფაშისტებს აკისრებდა პასუხისმგებლობას, იუნყებოდა უამრავი სამხედრო დამნაშავეობის თაობაზე, მაგრამ მასში, თუნდაც ერთი სიტყვით არ იყო მოხსენიებული კატასტროფა ებრაელებისა, რომელთა მიმართ კონცენტრირებული იყო ნაცისტთა სიძულვილი - ასეთი პოლიტიკა ხომ არ აქებებდა გერმანიას, რომ უფრო მეტი ქმედითუნარიანობა



გამოველინა ებრაული საკითხის „საბ-ოლოო გადანყვების“ სფეროში?

ებრაელთა გადარჩენის უამრავი ცდა ტორპედირებულ - იქნა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, რამდენადაც ამერიკის ელჩის სიტყვებით „ბრიტანეთი შეშფოთებული იყო დიდი რაოდენობით გადარჩენილ ებრაელთა განთავსების სიძნელით“. ამ მოწოდების ფონზე სრულიად გამართლებულად წარმოისახება მორისის თვალსაზრისი, რაჟამს ის წერდა: „ებრაელთა მასობრივი გადარჩენა ემუქრებოდა ინგლისის პალესტინურ პოლიტიკას. ბრიტანეთის მთავრობაში, როგორ ჩანს, პალესტინაში ებრაელთა მოდენა-მოზღვაების პერსპექტივა უფრო მეტ შეშფოთებას იწვევდა, ვიდრე ფიქრი ებრაელებზე, რომელნიც - გაზის ლუმბელებისკენ იგზავნებოდნენ“. აქვე დავსძენთ, რომ ასე როდი იყო განწყობილი მხოლოდ დიდი ბრიტანეთი. სხვა სახელმწიფოთა მთავრობებში დიდ აფორიაქებას იწვევდა ფიქრი იმ ებრაულ მასებზე, რომლებიც მათ ქვეყანაში დაინყებდნენ თუნდაც დროებითი თავშესაფარის ძებნას. სასაკლავო მთავრობები ებრაელთა ბედ-ილბალი მათ არ ანაღვლებდათ.

ანტიპიტლერული კოალიციის დამ-ნაშავეობა განა მარტო იმაში ვლინდება, მათ თავიანთი ქვეყნების კარიბჭეში ფართოდ არ გასხნეს იმ ებრაელთათვის, რომელთა გადარჩენაც შეიძლებოდა, არამედ იმაშიც, რომ არაფერი იღონეს იმისათვის, რაიც დააბრკოლებდა ებრაელთა შეუფერხებელ გაგზავნას სა-კონცენტრაციო ბანაკებისაკენ პოლონეთის ტერიტორიაზე. შესაძლოა სარკინიგზო გზების დაბომბვას, იმ სარკინიგზო გზებისა, რომლებზეც ოსვენციმისკენ პატიმრებითურთ ვირობდნენ ემელოები, ხელს უშლიდა სტრატეგიული მოსაზრება. მაგრამ მათი დანგრევა, უთუოდ, შეეძლოთ წინააღმდეგობის მეომრებს. და ამ ტრაგიკულ ვითარებაში დასაღუ-პავად განწირულ მოძმეთა დასახმარებ-ლად წარმართნენ თავად ებრაელები. იმ დროს, როდესაც უნგრეთში ჯერ კიდევ არსებობდა რვაასი ათასი გადარ-ჩენილი ებრაელი, ასობით მომზადებული პარაშუტისტი სამანდატო პალესტინაში ამოდ ელოდა საბრძოლო ოპერაციაში განვევას. არ არის გამორიცხული, რომ პიტლერობა მიერ უნგრეთის ებრაელო-ბის მოსპობას დააბრკოლებდნენ ისინი. ეს ოპერაცია არ უპირისპირდებოდა მო-კავშირეთა სამხედრო ინტერესებს. მა-გრამ ეს გამიზნული ოპერაცია უარყვეს პოლიტიკური მიზნებით. ისინი მიიჩნევდ-ნენ, რომ ერეც ისრაელის ებრაელებთან თანამშრომლობა მათი ნაციონალური უფლებების აღიარებად წარმოისახება; ბანაკთა დაბომბვა, მამასაღამე, არ შეი-ძლებოდა სტრატეგიული მოსაზრებით, ხოლო ებრაელებისადმი არც იარაღის გადაცემა იყო მიზანშეწინილი პოლიტი-კური თვალსაზრისით. მ. ვაიასმანდელი ნიგნში „გაჭირვებიდან“ („მინ ჰამეცარ“) მოგვითხრობს, რა რიგ ოხუზგობდნენ და ენამახვილობდნენ გერმანელები და მათი თანამზრახველნი ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში: „ფრონტზე იარაღის გადატა-ნის ყველაზე საიმედო საშუალებაა ის, რომ ებრაელთა საბრძოლო მასალებითურთ ჩავსვათ რამდენიმე ებრაელი და სახურ-ავზე დიდი ასობით გაკეთდეს წარწერა: „ებრაელთა გადაყვანა საკონცენტრაციო ბანაკში“. მაშინ ზუსტად დაბომბვას აღარ შეასრულებენ. ასეთი „ოხუზგობა“ ახასი-ათებდა მოკავშირე სახელმწიფოთა „ჰუ-მანურობას“.

ამერიკელებმა უარი თქვეს გერმანი-იდან ოცი ათასი ბავშვის მიღებაზე. მათი არგუმენტები საუკეთესოდ ასახავს იმ დროის ატმოსფეროს. ზოგიერთებმა გა-ნაცხადეს, რომ უცხოელები შეეცდებიან-ო ქვეყნის გარდაქმნას თავიანთ წირსა და ყაიდზე. ზოგიერთი ლტოლვილებად არ მიიჩნევდა ბავშვებს, რამეთუ მათ უმეტესობას ებრაელები წარმოად-გენდნენ. სხვები კი შიშს გამოთქვამდ-ნენ ნაციონალისტური ჯგუფების გააქტიურების გამო. ყველაზე ორიგი-ნალურად გამოიყურებოდა იმათი პოზი-ცია, რომელნიც ამტკიცებდნენ: „თუ დავვებმარებით ებრაულ ბავშვებს, მაშინ ვეღარ შევძლებთ, რომ ამერიკის მკვი-დრთა ბავშვებისათვის უზრუნველყოთ კონსტიტუციის მიერ მათთვის მინიჭებუ-ლი თავისუფალი ცხოვრების უფლება და ლტოლვა ბედნიერებისაკენ“. მომავალი ყმანვილი ემიგრანტები წარმოისახებოდ-ნენ უსახლკარო, გაბოროტებულ, არასა-

სურველ უცხოელებად, პოტენციურ კო-მუნისტებად და არსებული ნყობილების წინააღმდეგ აჯანყების ლიდერებად. ეს დასაბუთება, რით განსხვავდებო-და ნაცისტთა არგუმენტაციისაგან, რაიც ყველას, ებრაელთ გამოურიცხველად, წარმოსახავდა „კომუნისტურ აგენტად“. განა არსებობს სხვაობა ბავშვთა მკვ-ლელობასა და იმათ შორის, რომელნიც უარყოფენ მათ გადარჩენას? რა შეი-ძლება იყოს უფრო ფარისევლური და თვალთმაქცური, ვიდრე ამერიკის ლეგი-ონის ლიდერთა განცხადება: „ამერიკის ტრადიციული პოლიტიკა მდგომარეობს ოჯახური ცხოვრების დაცვისადმი სწრაფვამი, და ამიტომ ამერიკის ლე-გიონი გადაჭრით უარყოფს ოჯახთა და-სორიშორებას, რასაც შემოთავაზებული კანონპროექტი გამოიწვევს“. (აქ საუბარი მიმდინარეობს იმ კანონპროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა იმიგრაციული კვლევის შესვლას). ამერიკელ პატრი-ოტებს, როგორც ჩანს, სძულთ „მკაცრი“ ებრაელი მომბლები, რომლებიც ამჯო-ბინებდნენ თავიანთი ბავშვების გადარ-ჩენას, ვიდრე ერთად დაღუპულიყვენ მგრძობიარე, ახალელებელ ერთო-ბლიობაში (სინამდვილეში, საკონცენ-ტრაციო ბანაკებში, უწინარეს ყოვლისა, ბავშვებს მოზრდილთაგან აცალკევებენ, გამაკაცებს კი ქალთაგან). მაგრამ, რო-გორც ჩანს, ყველას გადააჭარბა კონ-გრესმენმა კარლ მუნატიმა, რომელიც უარობდა იმიგრაციულ კანონთა შემსუბ-უქებას იმ საფუძველზე, რომ „ეს არ არის ამერიკული სტილი - რომ გამოიყოს ერთი რომელიღაც ჯგუფი“. მამასაღამე ბავშ-ვები ნაცისტთა კლანჭებში დარჩნენ დას-აღუპავად და ამერიკის ამაყი შეერთე-ბული შტაბები, რომლის ტერიტორია წარმეულ-მოპარულ იქნა ინდოელთაგან, დამონებას გადაურჩა.

დასავლეთის უმეტესი ქვეყანა ნა-ცისტთა ანტისემიტისმს გაგებით შეხ-ვდა. კათოლიკურ ცივილიზაციაში ებრაელებისადმი სიძულვილს ღრმა ფესვები აქვს. ეს გესლი საუკუნეთა მანძილზე ვრცელდებოდა. მაგრამ შუა საუკუნეების ბარბაროსთა აღზევე-ბას არ ძალუძდა, მსოფლიო ხალხების მორალის საყოველთაო დაცემა, რომ არ გამოენჯია. დასავლეთის დეგრადაციისა და სულიერ სტაგნაციაზე შეიძლება მსჯ-ელობა, რაჟამს განვიხილავთ იმ-20 საუ-კუნის დასაანაყისის აშშ-ის მთავრობის დამოკიდებულებას, რაიც უკავშირდება ებრაელთა დევნას რუსეთში, რუმინეთში, თურქეთში და გასული საუკუნის ორმო-ციანი წლების ნაცისტური გერმანიაში. მაგალითად, 1902 წ. აშშ-მა საჭიროებ მი-იჩნია, რომ რუმინეთისათვის პროტესტი განეცხადებინა, ებრაელებისადმი არაა-დამიანური მოპყრობის გამო, რამეთუ მათ არ ინებეს, „რომ მდუმარე მონაწ-ილეობა მიეღოთ ამგვარი ბოროტების დამგმობ პროცესში“. (მაშინ ჯერ კიდევ იცოდნენ, რომ დუმილი თანგრძობას ნიშნავს). ორმოცი წლის შემდეგ ზნე-დაცემულთა სინდისმა დააკარგა მგრძო-ბიარობა. მეორე მსოფლიო ომის წინ ამერკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელე ჩიოდა, რომ „ებრაული ინტერეს-ბი“ უაღრესად დიდ ხმაურს იწვევს.

დასავლეთის მორალში პიტლერმა იმდენად შეარყია, რომ სიკეთესა და ბოროტებაზე ნორმალურ წარმოდ-გენებში სრული გადაცელება მოხდა. ებრაელი პოეტი, იცხაკ კაცენელსონი, იდუმე წერდა. დასავლეთს ოდნავ ნა-კლები გულგრილობა რომ გამოეჩინა, მისი სიცოცხლის გადარჩენა სრული-ლად ადვილად შეიძლებოდა. თავის ერთ-ერთ ნერილში მან დასავლეთში სინდისის დეგრადაცია შესანიშნავად ასახა: „მსოფლიოს ხალხებს ჩარევა არ სწადდათ, ძალადობის წინააღმდეგ არც პროტესტის გამოცხადება სურდათ, თავის ქნევაც ეზარებოდათ, ჩურჩულითაც კი არ აფრთხილებდნენ მკვლელებს. თითქოსდა, ხალხების ბელადებს ემიწო-დათ, რომ მკვლელობა არ შეეწყვიტათ“. თუმცადა, პოეტმა არ იცოდა, რომ 1944 წლის მარტში პრეზიდენტმა რუზველტ-მა რალაც ამის მსგავსი რამ გარკვევით წარმოთქვა. სამწუხაროდ, იმხანად კა-ცენელსონი არ იყო ცოცხალთა შორის, ისევე როგორც საკონცენტრაციო ბანაკ-თა ებრაელი პატიმრების უმრავლესო-ბა. დაიხ, იყვნენ ისეთი პროვინციანი, რომელთაც გაეგებოდათ, რომ აქ, ლაპარა-კი მიდიოდა ერის სულიერ სიმრავლეზე. გერმანიიდან ბავშვების მიღებასთან დაკავშირებულ გამართულ დებატებზე

ერთმა ადამიანმა ამგვარი შენიშვნა გაა-კეთა: „ამერიკელმა ხალხმა ხომ არ და-კარგა, ასეთ ტრაგიკულ სიტუაციაზე რეაგირების უნარი? თუ გამოირკვა, რომ ჩვენმა ნაციათ თავისი არსისგან განარი-და ეს უნარი, მაშინ ამერიკას დაუკარგავს თავისი სულის დიდი ნაწილი“. რა თქმა უნდა, საკითხი როდი იდგა მხოლოდ ამ ბავშვების გამოხსნაზე, არამედ გადარ-ჩენაზე მთელი ხალხისა, განწირული რომ იყო აღსავლელად პირისაგან მიწისა. და პასუხისმგებლობა როდი ეკისრებოდა მხოლოდ ამერიკას, არამედ მთელ თავი-სუფალ ქვეყნებსაც. ირკვევა, რომ მარ-ტოლდენ ამერიკას არ დაუკარგავს თავისი სული. უცნაური გულცივობა გამოავლი-ნა მსოფლიო ხალხების უმრავლესობამ.

ისტორიის პერიპეტიებში ღრმად გან-სწავლული ებრაელობა სვამს კითხვას, - განა კათოლიკურ ცივილიზაციას აქვს სული? ეს კითხვა ცნობიერებიდან ნიაღვრა მამინ, რაჟამს შეისწავლება მათი ოფი-ციალური დამოკიდებულება ებრაელთა წინააღმდეგ ნამოქმედარი დანაშაული-სადმი. ნამდვილად, იყვნენ ეკლესიის ისეთი გაბედული მოღვაწეებიც, გადაჭ-რით რომ გმობდნენ გენოციდის აქტებს. საფრანგეთის და პოლანდიის ხუცესთა ჯგუფებმა, უქმნიდნენ რა საფრთხეს თავ-იანთ სიცოცხლეს, მრავალი დევნილი გადაარჩინეს. მაგრამ რის გაკეთება შეე-ძლოთ მარტოხელებს? შექმნილი ვით-რება საჭიროებდა, რომ საპროტესტო ქმედება თავად ქრისტიანულ ეკლესიას განეხორციელებინა. მაგრამ, როგორც თავად ქრისტიანულ ეკლესიას განეხორ-ციელებინა. მაგრამ, როგორც კაცენელ-სონი ამბობდა, არავის არ გამოუთქვამს ზრახვა და კიცხვა, მდუმარებითაც. ამ მხრივ კათოლიკეებსა და პროტესტანტ-ებს შორის არ იყო არავითარი სხვაობა. აქ, ჩვენ წარმოვადგენთ კათოლიკურ ლიდერთა ზოგიერთი გამოხატუება-ს ციტირებას. მათი აზრები სავერთი ავ-ლენდნენ ურთიერთთანხმობას პროტეს-ტანტ წინამძღვართა აზრებთან. ცაღია, აქ უკე ზედმეტია ლაპარაკი გერმანიისა და ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყ-ნებზე. ისინი იყვნენ ფაშისტების ნამდ-ვილი ხელის შემწყობნი. გალოგვი თავის ნიგში წარმოგვიდგენს დოკუმენტების მასას. მაგალითად, ტორის ტაძარში, ახალგაზრდა თაობის კურთხევის ჟამს, კათოლიკე-ეპისკოპოსმა ბრანგვანდამ მიავნა „შთამავონებელ“ სიტყვებს: „თავანუელნი, მტკიცე ნაბიჯებით შევედით ახალ რეიხში და მზად ვართ ჩვე-ნი სხეულის და ჩვენი სულის მთელი ძა-ლებით, ვემსახუროთ მას“. სხვა ხუცესმა განაცხადა: „ჩემი კოლეგები არა მარტო ცნობენ ახალ ხელისუფლებას, არამედ ემ-სახურებიან მას მხურვალე სიყვარულით და მთელი ძალებით. ტიუბინგენელ ცნო-ბილ თეოლოგს ეკუთვნის ორიგინალური იდეა იმის თაობაზე, რომ „ნაციონალ-სო-ციალიზმი და კათოლიციზმი შეუღლებ-ული არიან, ბუნებისა და მშვენიერების სადარად“. ამ აზრმა თავისი განვითარება ჰპოვა გერმანელ თეოლოგთა თხზულებებ-ში. იეზუიტთა ყოველთვიურ ჟურნალში დაკვირვებით იკვლევენ სვასტიკასა და ჯვარს შორის მსგავსებას: „ბუნების სიმბოლო თავის განსახიერებას პოვებს მშვენიერების სიმბოლოში“, აქვე ამტ-კიცებდნენ, რომ „პიტლერის პიროვნება გერმანელი ხალხის სიმბოლოდ გარდაი-ქნა“. თუ ოდენსე დაწერილია ნაციზმის პერიოდის გერმანულ-პროტესტანტული ეკლესიის ისტორია, ჩვენ მასში დავინახ-ავთ, რომ ის კათოლიკური ეკლესიის ის-ტორიაზე უფრო სამარცხვინოა. მაგრამ ჩვენ აქ, ძირითადად, გვაკავებს ვატი-კანის პოზიცია.

1942 წლის ებრაელი ხალხისადმი და-პირისპირებული გენოციდი უკვე მივ-ინგავრება. ამერიკის პრეზიდენტის პი-რადმა წარმომადგენელმა შეკითხვით მიმართა ვატიკანის სახელმწიფო მდივანს: პაპს ხომ არა აქვს რაიმე წინადადება ნა-ციისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ, ცივილიზირებული სამყაროს საზოგა-დოებრივი აზრის მობილიზებასთან და-კავშირებით. ოფიციალური პასუხში ნათქვამი იყო, რომ ებრაელთა წინააღ-მდეგ განხორციელებული ქმედებათა შესახებ ვატიკანს უკვე აცნობეს, მაგრამ ამ ცნობის ნამდვილობის დადასტურე-ბა შეუძლებელი აღმოჩნდა. სხვა მნიშ-ვნელოვანმა პირმა გადაკრთი შენიშნა, რომ პაპი ყველა ერისა და ხალხისადმი აღვსილია მიუკერძოებელი სიყვარულით და სწორედ ამიტომ დიდი თავდაჭილო-

ბით ხასიათდება მისი ქცევა და ქმედება. თურმე, უმაქნისობა და უნიათობა ექვსი მილიონი ადამიანის დაღუპვის წინაშე, როდი ნიშნავს დანაშაულის ჩადენას და-კანონის დარღვევას, არამედ ის წარმო-სახავს „ადამიანისადმი მიუკერძოებელი სიყვარულის გამოვლენას და „ბრძნულ თავდაჭირობას“.

თუნდაც 1944 წლის აპრილში, რა-ჟამს ოთხასი ათასი უნგრელი ებრაელის ბედ-ილბალი წყდებოდა, რომის პაპი კე-ლავ ავლენდა „ბრძნულ მდუმარებას“. უნგრეთი - ძირითადად კათოლიკური ქვეყანაა. ვატიკანს მამინ მტკიცე პოზი-ცია რომ დაეკავებინა, ბევრი რამ გაკეთ-დებოდა. ლტოლვილთა არაღეგალურმა კომიტეტმა რომის პაპს ამ სახელისწერო საქმეში ჩარევა პირდაპირ მოსთხოვა. გა-მოაცხადეს, რომ სასიკვდილო ბანაკებში ებრაელთა დეპორტაციის მოწინააღმდეგე განკვეთილ-იქნებინა ეკლესიიდან. ორ-ჭოფული პასუხი ეკლესიისთვის უნგრე-თის რეგენტს (დროებით გამგებელს) გაე-გზავნა ორი თვის დატვიანებით, რაჟამს სამასორმოცდაათი ათასი ებრაელი ამ პატარა ქვეყანაში უკვე დაღუპული იყო გაზის ლუმელებში.

ასეთი დამოკიდებულება ებრაელთა ბედისწერისადმი ეკლესიას განარიდებდა ხალხებზე სულიერ გამგებლობის უფლე-ბამოსილებისგან. რა თქმა უნდა ვატი-კანის პოზიციაზე გავლენას ახდენდა პოლიტიკური მოსაზრება. მაგრამ ძნელია დავიჯეროთ, რომ მხოლოდ პოლიტიკა წარმოისახა ადამიანური სიდნდისის უპ-ირველესი მოთხოვნის რეალიზების ხელ-შემშლელ ფაქტორად. მრავალი მონმობა გაგვჩინა იმასთან დაკავშირებით, რომ ანტისემიტისმმა, დამახასიათებელი რომ იყო ქრისტიანობისათვის ძველ დროს, საბოლოოდ განაპირობა გულცივი მდუ-მარების უგუნურება ახლო წარსულში. მ. ვაისმანდელი, იხსენებს რა სლოვაკეთში განცდილს, მოგვითხრობს ორ დამახა-სიათებელ შეხვედრებზე ამ ქვეყნის კათო-ლიკური სამღვდლოების წარმომადგენ-ლებთან. იქ, ებრაელთა გასასახლების გეგმის ინიციატორი იყო ხუცესი ტისო. ფესახის წინა დღეებში (1942 წ.) ერთ-ერთმა ფრიად პატივდებულმა რაბი-ნმა, სლოვაკეთის არქიეპისკოპოსს, რომელსაც კარგად იცნობდა სვებდნი-ერ დღეებში, მიმდართა თხოვნით, რათა გავლენა მოეხდინა ხუცეს ტისოზე - მის ყოფილ მდივანზე. რაბინი ლაპარაკობდა მხოლოდ დეპორტაციის საშემოებაზე. არქიეპისკოპოსმა კი, ჩვეული ქრისტიან-ული სიყვარულით, გააშუქა შექმნილი ვითარება იმ ბედისწერასთან დაკავშირე-ბით, რაიც ებრაელებს ელოდათ პოლო-ნეთში: „ეს როდია უბრალოდ დეპორტა-ცია. თქვენ არ მოკვდებით იქ შიმშილით და გაჭირვებით. ისინი, იქ, თითოეულ თქვენგანს მოაკვდინებენ, მოხუცებს და ახალგაზრდებს, ქალებს და ბავშვებს, ყველას - ერთი დღის მანძილზე. ასე რომ თქვენ არ გექნებათ დრო იმისთვის, შიმ-შილი და გაჭირვება რომ განიცადოთ. ეს სასჯელი თვის დაგატყვევბათ ჩვენი მაცხოვრის მოკვდინებისთვის. თქვენ გაქვთ მხოლოდ ერთი იმედი და სასოება, რომ გარდაიქცეთ ქრისტიანებად“.

იმ ხანაში ქრისტიანთა შორის ვრცელ-დებოდა აზრი: დამსახურებისამებრ ის-ჯებიანო ებრაელები. ყველაზე „საუკე-თესოდ“ ეს სატანური მოსაზრება პაპის ნუნციურმა გამოთქვა სლოვაკეთში. 1944 წლის შემოდგომაზე ვაისმანდელი თავისი ოჯახითურთ, ასობით სხვა ებრაე-ელთან ერთად, აღმოჩნდა გადასავლენა პუნქტში, საიდანაც ოსვენციმისკენ მი-მავალ გზას უნდა დასდგომოდნენ. ვა-ისმანდელი პუნქტიდან გაიქცა და შე-ძლო პაპის ნუციუსის რეზიდენციამდე მიღწევა, მისი უწმინდესობის წინაშე მან აღწერა ბანაკში შექმნილი ის შემადრ-წუნებელი ვითარება, რომელიც ადა-მიანები ცხოვრობდნენ და ვატიკანის წარმომადგენელს მოსთხოვა ტისოს გეგ-მებში დაუყოვნებელი ჩარევა. ნუციუსმა უპასუხა: „დღეს კვირაა. მე და მამა ტი-სოც ჩვენითვის ამ წმიდაყოფილ დღეს არ ვართ დაკავებული საყოველღეო საქმე-მებით“. ვაისმანდელმა, რაჟამს შესძახა, რომ უდანაშაულო ბავშვთა მოკვდინება სრულიადაც არაა საყოველღეო საქმე, ხუცესმა განაცხადა: „არ არსებობენ უდანაშაულო ებრაელი ბავშვები. დამ-ნაშავეობა ეკისრება ყველა ისრაელს - თქვენ უნდა მოკვდინდეთ. სასჯელი არს თქვენი საფასურისაგებელი“.



# სამედიცინო სფეროს მკვლევარი ებრაელი ექიმები საქართველოდან

დოქორიკვაპილი

(დასაწყისი იხ. „მ“ №3,4,5,6,7)

**ტიმა დევიდსონ Tima Davidson (დავითაშვილი)** - ტელ-აშომერის სამედიცინო ცენტრის PET- CT განყოფილების დირექტორი, ექსპერტი ბირთვული მედიცინის და დიაგნოსტიკური რადიოლოგიის დარგში, რომელიც მოიცავს X-ray, CT, MRI. 2015 წლიდან ბირთვული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ჰიბრიდულ გამოსახულებათა გაშიფრვაში. ასწავლის თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ექიმთა დახელოვნების განყოფილებაში და სტუდენტებს სპეციალობას „დიაგნოსტიკური რადიოლოგია“. მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. 30-მდე პუბლიკაციის ავტორი გახლავთ.

**ელი კაკიაშვილი Eli Kakiashvili** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ამოდის ისრაელში. მას ბევრი მუშაობა დასჭირდა, რათა დაემტკიცებინა, რომ საქართველოდან ამოსული დასტაქარი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ადგილობრივ სპეციალისტებს. ორდინატურა ქირურგიის განხრით რამბამის საავადმყოფოში გაიარა. 2006 წელს კვალფიკაციის ასამაღლებლად კანადაში გაემგზავრა: ტორონტოს უნივერსიტეტში ატარებდა სამეცნიერო კვლევას მოლეკულურ ბიოლოგიაში, შემდეგ მონრეალის უნივერსიტეტი - საბოლოო წერტილში 6 წელი დაჰყო კანადაში. 2012 წელს ისრაელში რამბამის საავადმყოფოში ონკოლოგიური ქირურგიის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. 2016 წლიდან ნაპარის საავადმყოფოში ქირურგიის განყოფილებას ხელმძღვანელობს და პარალელურად პასუხისმგებლობა მოემატა - ზრუნვა ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციურ ზრდაზე, მათ წარმატებებზე და საზღვარგარეთ სიახლეების დაუფლებაზე. ამ მიზნების განხორციელებაში მას არსებული ძალზედ მჭიდრო კავშირები დაეხმარა მსოფლიოს ნამყვან სამედიცინო წრეებთან. წინა კაცი ხომ უკანა კაცის ხილია.

**სიმონ მანკეპლიშვილი Simon Matskeplishvili** - მეცნიერი-კარდიოლოგი, უმაღლესი კატეგორიის პრაქტიკოსი ექიმი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი არის კიდევ ერთი გამაგრძელებელი შესანიშნავი დასტაქართა დინასტიისა. დამთავრა სეჩენოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო აკადემია (1994 წ.). სტაჟირება საზღვარგარეთ: იტალიაში (Pisa 1996-98წ.) და აშშ-ში (პარვარდის სამედიცინო სკოლაში, 1999) გაიარა. 1999 წელს რუსეთში დაბრუნდა, დაიცვა დისერტაცია თემაზე: „არაინვაზიური მეთოდების დიაგნოსტიკური მნიშვნელობა კორონარული და პერიფერიული მიმოქცევის შესწავლის მიზნით, მრავალფოკალურ ათეროსკლეროზულ პაციენტებში“. 2003 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სტრეს-ექოკარდიოგრაფია გულის კორონარული დაავადებების დიაგნოზირებაში, პროგნოზის დადგენა, ქირურგიული და ენდოვასკულარული მკურნალობის შედეგების შეფასება“. 2007 წელს მას მიენიჭა

პროფესორის აკადემიური წოდება. 2016 წლიდან - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევებისა და განათლების ცენტრის მთავარი მკვლევარი, აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის წევრ-კორად ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებაში. 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 13 მონოგრაფია, 1 პრაქტიკული სახელმძღვანელო, 1 სახელმძღვანელო და 2 პატენტი. მონაწილეობდა უნიკალური სარქველის შემუშავებაში, რომელიც დამონტაჟებულია გულში გულმკერდის არხის გახსნის გარეშე, ბარძაყის არტერიაში ჩასმული სპეციალური კათეტერის მეშვეობით. ასეთი სარქველის გადანერგვა შესაძლებელია ჩვეულებრივ ქირურგიულ განყოფილებაში, მას არ აქვს შეზღუდვები, ეფუძნება ინოვაციურ ბიოპოლიმერს, რომელიც ასევე შეიქმნა სიმონ მანკეპლიშვილის მონაწილეობით. სამედიცინო პრაქტიკის და სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, ის ასწავლის კურსებს „XXI საუკუნის კარდიოლოგია“. სამედიცინო განხორციელების დიაგნოზიდან უზრუნველ ტექნოლოგიებამდე, „საოცარი კარდიოლოგია“. მონაწილეობდა ახალგაზრდა კარდიოლოგთა კონკურსების ორგანიზებაში. არის ჟურნალ „კარდიოლოგია: ახალი ამბები, მოსაზრებები, ტრენინგი“ რედაქციის წევრი. აშუქებს მედიამში კარდიოლოგიის და ზოგადად მედიცინის პრობლემებს.

**მეგი თეთროქლაშვილი Maggie Tetrokashvili** - ხელმძღვანელობს მან-გინეკოლოგიის დეპარტამენტს Nassau University Medical Center. წარჩინებით დამთავრა სერ-

ენოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო აკადემია (1995 წ.), იქვე გაიარა ინტერნატურა გინეკოლოგიის განხრით. 2002 წ. რეზიდენტურის საუკეთესო კვლევითი პროექტისათვის სერტიფიკატის მფლობელია მან-გინეკოლოგიის დეპარტამენტში Mount Sinai School of Medicine and Albert Einstein College of Medicine. 2012 წ. Association of Professors of Gynecology and Obstetrics (APGO) კურსდამთავრებულია. 2018 წ. დასახელებული გახლდათ ამერიკის მან-გინეკოლოგთა Top Doctors. აკადემიური პოზიცია აქვს Clinical Professor American University of Caribbean School of Medicine, New York College of Osteopathic Medicine, Assistant Professor Stony Brook University School of Medicine. თავმჯდომარე გახლავთ მან-გინეკოლოგიაში რეზიდენტთა საგამოცდო პროგრამის ნასაუს უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში. ექიმთა დახელოვნების მრავალი სტადია გაიარა და პროფესიონალურ საზოგადოებათა წევრია, მათ შორის Association of Professors of Gynecology and Obstetrics, American College of Obstetricians and Gynecologists, American Society of Reproductive Medicine, American Association of Gynecologic Laparoscopists, American College of Surgeons. ამ პროფესიონალურ დატვირთვას წარმატებით უთავსებს სამეცნიერო კვლევას. ავტორი გახლავთ მრავალი პუბლიკაციისა. მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.

**მომე შემეშ Moshe Shemesh (შომშელაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1995 წ.), სტაჟირება გაიარა კლინიკური და ექსპერიმენტალური ნეიროქირურგიის ინსტიტუტში მიკრო ნეიროქირურგიის განყოფილებაში. ორდინატურა განაგრძო სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილებაში და დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია PhD პროფ. გივი ნინუაშვილის ხელმძღვანელობით თემაზე: „Takayasu დაავადებით გამოწვეული Brachio-Vertebro-Bazilar დაქვეითების ქირურგიული მკურნალობა“ (2000 წ.). ისრაელში ამოსვლის შემდეგ იხილოვის სამედიცინო ცენტრის ნეიროქირურგიულ განყოფილებაში ჩართულია კვლევაში:

„მულტიდისციპლინარული პრობლემა: ნეკნის რეზექციის გარეშე მიკროქირურგიული ჩარევით გულმკერდის განყოფილების სინდრომის მკურნალობის პერსპექტივა“. ამავ პერიოდში მიწვეულია კაპლანის და tel-a-Someris საავადმყოფოში კურსი „ნეიროქირურგია“ ლექტორად. ბარ-ილანის უნივერსიტეტში მულტიდისციპლინარული თავის ტვინის კვლევის ცენტრში პოსტდოქტორანტის პოზიციაზე სამეცნიერო გამოკვლევას ეწევა თემაზე: „Compositional: Neuronal basis for complex behavior“. ბერ-შევის სოროკას საავადმყოფოში ნეიროქირურგიულ დეპარტამენტში სამსახურის შემდეგ გახსნა ესთეტიკური მედიცინის კერძო კლინიკა. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო სტატია.

**მიხაილ პეერ Michael Peer (პაპიაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1995). ტორაკალური ქირურგია-ონკოლოგი სპეციალიზირდება ტოროს-კოპიაში (სადიაგნოსტიკო და სამკურნალო), გულმკერდის, პლევრის და ფილტვის პათოლოგიის, ფილტვის კიბოს, ფილტვის ტუბერკულოზის მძიმე ფორმის ქირურგიულ მკურნალობაზე. გულმკერდის ქირურგიის დეპარტამენტის უფროსი Asaf--Rofe-ს სამედიცინო ცენტრში. ქირურგი ოპერაციებს ატარებს საავადმყოფო „Assuta“ში. წევრია ისრაელის და ამერიკის ექიმთა პროფესიული ასოციაციების გულმკერდის ქირურგიის სფეროში, ენდოსკოპიური გულმკერდის ქირურგიის საერთაშორისო ასოციაციის, წერს მიმოხილვებს ამ ორგანიზაციაში. სტაჟირება გაიარა ხაიმ შიბას და Asaf--Rofe სამედიცინო ცენტრებში ისრაელში, სპეციალიზაცია ლოს-ანჯელესში საავადმყოფო „Cedars Sinai“ ფილტვის კიბოს ინვაზიური ქირურგიული მკურნალობის სფეროში. მაღალკვალიფიცირებული ქირურგი არის ორგანოს შენარჩუნების ოპერაციების უნიკალური მეთოდის ავტორი, ნებისმიერი სირთულის ოპერაციების ბრწყინვალედ შემსრულებელი. გარდა ძირითადი კლინიკური პრაქტიკის მიხედვით პაპიაშვილი ჩართულია მეცნიერებაში, წარმატებით ახორციელებს კვლევებს გულმკერდის ქირურგიის სფეროში; არის ავტორი მრავალი სტატიისა, რომელიც გამოქვეყნ-



და ცნობილ საერთაშორისო პროფესიულ ჟურნალებში. რეგულარული სპიკერი გახლავთ სამედიცინო საერთაშორისო ფორუმებზე.

**ჯოზეფ ჩიკვაშვილი Joseph Chikvashvili** - დამთავრა B.S. ხარისხი University of Maryland წარჩინებით 1996 წელს. დაასრულა სადოქტორო D.D.S. ხარისხი 2001 წელს University of Maryland, College of Dental Surgery, in Baltimore, Maryland. Chief Resident at Newark Beth Israel Medical Center მიენიჭა G.P.R. სწავლების დაასრულებსამებრ. ასპირანტურის ტრენინგი ენდოდონტიაში Boston University, Goldman School of Dental Medicine, სადაც მან მიიღო თავისი Certificate of Advanced Graduate Study (C.A.G.S.) 2005-2013 წწ., მან დაასრულა 2- წლიანი CDE კურსი იმპლანტოლოგიაში ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. არის Director of Endodontics at Newark Beth Israel Medical Center. ასევე იყო პრეზიდენტი Essex County Dental საზოგადოებაში 2012 წელს და არჩეულ იქნა ვიცე პრეზიდენტად NJ ენდოდონტისთვის ასოციაციაში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სტატია სხვადასხვა ჟურნალებში: ენდოდონტიზმის კონსერვატიული მკურნალობის ალტერნატივა.

**რუთ საპირი-ფინხაძე Ruth Sapir-Picchadze** - ებრაული უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, (1993 – 2001) McGill უნივერსიტეტის სამედიცინო დეპარტამენტის (კანადა) ასოციირებული პროფესორი გახლავთ. ტორონტოს უნივერსიტეტში მაგისტრის (MSc) წოდება მიენიჭა ნეირომეცნიერების სფეროში (2002 – 2005). სწავლავს და სამეცნიერო კვლევას აგრძელებს კლინიკურ ეპიდემიოლოგიაში და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ (Ph.D.) (2010 – 2014) სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. გადადის სამუშაოდ საუნივერსიტეტო RVH, Montreal, QC ცენტრში ნეფროლოგია და მრავალ ორგანოთა გადანერგვის პროგრამის ექიმ-კლინიცისტად. პარალელურად ცილ უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ცენტრში კომპანია „თირკმლის დაავადებანი დაბადებიდან სრულწლოვანებამდე“ დირექტორთა საბჭოს წევრია. ექიმი - მეცნიერი კვლევას აგრძელებს მაკილის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ცენტრში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (2015-2020). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო კვლევის შედეგები პრესტიჟულ გამოცემებში და რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. ასოციირებული წევრია ეპიდემიოლოგიის დეპარტამენტის, კლინიკური პრაქტიკის შეფასების Unit (CPAU), მაკილის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ცენტრის 2016 წლიდან დღემდე.

**გაი როზენი Guy Rozen** - წინაგულელების ფიბრილაციის პროგრამის დირექტორი, წამყვანი კარდიოლექტორ-ფიზიოლოგი კარდიოსტიმულაციის და ელექტროფიზიოლოგიის განყოფილებაში Baruch Padeh Medical Center, Poriya, დაინიშნა Hillel Jaffe-ს საავადმყოფოს გულის ელექტროფიზიოლოგიისა და კარდიოსტიმულაციის განყოფილების დირექტორად. ბენ-გურიონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული (2004 წ.), პარალელურად მედიცინის დოქტორის სტატუსთან ამთავრებს - სამედიცინო სფეროში ადმინისტრირების პროგრამას. საკვალიფიკაციო თეზისი ეძღვნებოდა დისლიპიდემიის მკურნალობას. ინტერნატურა და რეზიდენტურა გაიარა Sheba Medical Center. 2014-17 წწ. ცოდნას იღრმავებს და მკურნალობის ახალ მეთოდოლოგიას ეუფლება Massachusetts General Hospital (MGH) Harvard Medical School, Boston, USA. ავტორი გახლავთ მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციისა, მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში. ბარ-ილანის უნივერსიტეტში მრავალჯერ აღიარებულია წარჩინებულ ინსტრუქტორად. პროფესიონალურ საზოგადოებათა წევრია: European Heart Rhythm Association (EHRA), European Society of Cardiology (ESC), Israel Heart Society (IHS). ტიპიური წარმომადგენელი გახლავთ წარმატებულ დასტაქართა გენეტიკური მემკვიდრეობისა.

(გაგრძელება იქნება)



# ჩემი სახლი



ესაა ჩემი სახლი...

ჩემი ზნე, ჯიმი და ჯილაგი აქ ზეობს, აქ სუნთქავს გაბედულად და თავისუფლად, ისე, რომ არ ფიქრობს არც მზაკვრულ და დაფარულ, არც ამკარა ზიზზა და სიძულვილზე, მსოფლიო გზებზე რომ მსდევდა გარდუვალ და თანაყოლილ დამლად, ადამიანთა გულდრძო მზერას რომ ენერა ნიდავ, ტანს რომ მისერავდა, გულს მიღონებდა და მთრგუნავდა.

ესაა ჩემი სახლი!

ეს ქვიშნარი, თვალუნვდენი, ვარვარა, ქართი ხორშაკით, ერთიანად გაფიჩხული და გადახრუკული ბუჩქნარით, ტალს,\* მაცოცხლებელს რომ ელის და შესციცინებს წელიწადი და თორმეტი თვე, რათა მერე, წვეთ-წვეთსხენშესრუტულმა, სამადლობლო მზერა ალაპყროს ზეცას თავისი უდაბნოსსევედანარევი ეკალათვალებით...

აქაა ჩემი ღვთის შეპირებული აღთქმული ქვეყანა, აქ უნდა გამეგო და განმეცადა თვითმყოფადობის სისახუნუკრე, ხიბლი და გემო, მისი სიმსუბუქე და სიმძიმეც, ვიდრე უზენაესის ნებით და ძალით ზღვას გადავიდოდი, ცისმანათს თვალს გავესწორებდი და მიწის ამ ნაგლეჯს ჩემად დავიგულედი... აქ, აქ უნდა შემეგრძნო მე, ბრბოს, ჩემი ხელახალი დაბადება, ხალხად და ერადმოქცევის სიდიადე, ამ დიუნებში თავშერგულსა და მლოცველს, ამ ხრიოკ, იუდეას უდაბნოდ გადაშლილ მდუმარებაში, ცისთალს შეხილულ-შედეღებული მწველი მზით, ერთფეროვნების უღიმღამობითა და უილაჯობით გათანგულს და ოდენ ცის მანანასა და გამჩენის წყალობას მზერაშეყინული მოლოდინით, ვიდრე მოვითვინიერებდი რძითა და თაფლით, ფინიკითა და ზეთისხილით, ლელვით და ყურძნით დაზნექილ, ან უკვე ჩემივე ნიათითა და რუდუნებით გაედებებულ საკარმიდამოს!

ასეც ვვლიდი ... ჩემი წილი სიმართლითა და გადაცდომებით, თავდაჯერებითა და სიჯიუტით, სჯულმდებელთ რიდით დაუნჯებულნი და მეფეთა და წინასწარმეტყველთა მეუფებით, ერთი ღმერთის ერთგულებითა და ამ ერთგულებაში ჩაგვირისტებული მადლებითა და მიტყვევებით...

- დავითის გოლიათობითა და სოლომონის სიბრძნით...

- სამსონის ძალგულოვნობითა და ხუთი ძმა მაკაბიელთა თავგანწირვით...

- ტაძრის სიწმინდითა და სიძლიერით...

მაგრამ იყო ამ გზაზე განდგომა და ღვთის გამობაც, სიკერპეც და უმიზეზო სიძულვილიც... და იყო შურიც...

რაც ბუნებრივად შობდა თავსდატეხილ სასჯელებს... და ამ სასჯელთა სავალო შედეგს - მარადიული, მშვიდობის ქალაქის იავარქმნილ სანახებს, გადაბუგულ ტაძარს, დაკარგულ სამშობლოს!

... და სახტადარჩენილ ცრემლს... გოდების ერთ, დასავლეთის კედლად შერჩენილს, მბჟუტავ, და მაინც უქრობ, ორიათასწლოვან ვედრებად, ლოცვად და მჯილად აღმართულს:

- თუ დაგიგინყო, იერუშალიმ!  
და ისედაც, მეც ხომ, უპირველესად, ადამიანი ვარ, მსოფლიოდ მოარულ ხალხთა და ერების მსგავსად, იმავე ხინჯებითა და სისუსტეებით... ერთი ნართით

ვართ ნაკერნი ყველა, ერთნაირად გვტკივა, გვწყინს და გვიხარია, ერთნაირადვე გვგვგრემს მუცელს, სხვა „სიკეთესთან“ ერთად, მანია განდიდებისა, განცდა იმისა, რომ ვილაც, ჩვენი სახის, მოკეთე და მოყვასი, მაგრამ მაინც... ნახევარი ნაბიჯით წინ წამდგარა, მზეს გვირდილავს, ბრბოც ოვაციებს მას უმართავს და, გვეჩვენება თუ ასეა, მის პროფილში იქედნური და დამცინავი ღიმილი კრთის.

... კაენმა აბელი მოკლა და ამ პირველი (თუ მეორე!) ცოდვის ექო და გამოძახილი დღემდე თან გვსდევს, ფორმები იცვლება მხოლოდ, იხვენება, და ვიდრე პატივს და დიდებას ვერაც ძალას და უკეთურებას ვანიჭებთ და ვერცხლს ვეთაყვანებით... ვიდრე ცოტა გვეყავს გულანთებული მამულიმეფილი, მოაზროვნე კაცები, და ვინც გვეყავს, მათაც, ან გილოტინას ვუმზადებთ, ან ვკორტინით და ცოცხლად ვმარხავთ, რათა მერე, გმირებად და წმინდანებად შერაცხულთ, პედესტალებზე აღზევებული, მუხლიჩოქა შევლადადოთ და პატიება ვთხოვოთ... არაფერი გვეშველება!

„ ისმინეთ, თავკაცნო იაკობის სახლეულის, მოძულენო მართლმსაჯულებისა და გამმრუდებელნი ყოველი სისწორისა, მშენებელნი სიონისა სისხლით და იერუშალიმისა - უსამართლობით! მისი წარჩინებულნი ქრთამით განიკითხავენ მტყუან-მართალს, ხოლო ღვთისმსახურნი მისნი - გასამრჯელოს მიხედვით აწესებენ კანონს... ამიტომაც, თქვენს გამო, მინდორივით გადაიხვენება სიონი და იერუშალიმი ნანგრევებად იქცევა, ხოლო მთა წმინდა ტაძრისა ტყიან ბორცვად“.

(წინასწარმეტყველი მიხა. 3:9 - 12)

... და ინგრეოდა ქვეყნები!

იფერფლებოდა იმპერიები!

დიდება და დაცემა გვერდიგვერდ იარებოდნენ და არც ამპარტავნება შერჩენია ვისმეს ბოლომდე... და თუ იერუშალიმის გადაბუგავ ტიტუსს, მკრეხელად ისტორიაში შესულს, სიამითა და პატივით გაზულუქებულს, რომის კაპიტოლიუმში დაფნის გვირგვინის მოძლოდინეს, ერთი უმნიშვნელო, ცხვირის ნესტოში შებუდეული მწერი უღებს ბოლოს... ეს ოდენ შტრიხია, ნიშანია ადამის ძის არარაობისა... და რამდენი, რა მოთვლის, ჭირ-ვარამი მოუვლენია უზენაესს თავისი უბადრუკი და ცოდვილი ქმნილებისათვის, და რამდენჯერ, ვინ იცის, კიდევ უნანია და „ გამოსტყდომია“ თავს, რომ შეცდა, როცა სამყაროს გასაღები მას, ადამიანს ჩააბარა!

ხოლო მე... მე ხომ, ამასთან, იაკობის შთამომავალიც ვარ, თვითრჯული და თავკერძი, ღმერთთან მებრძოლი იაკობის! (ჩემი სახელიც ხომ, ისრაელი, მე-ბრძოლს ნიშნავს და იაკობისგან მოდის!) და როგორც კი ავირიდებდი უფლის მზერას და განვუდგებოდი მის მცნებებს, სასჯელიც არ იგვიანებდა - მაშინათვე ვითოკაცდებოდი, ვკნინდებოდი და ვცეცემოდი, იოლად მერეოდა მტერიც... და ჩემივე სიჯიუტის, სიკერპისა და მოყვასის უმიზეზო სიძულვილის გამოცაა, რომ განვიფინე ქვეყნიერების ოთხივე მხარეს, შევეხიზნე ხალხებს...

...და სადაც ჩემი არსებობა უკვე გარემოების ხუმტურებზე იქნებოდა გამოკიდებული!

„ და გაიგებენ, რომ მე ვარ უფალი, როცა მოვევლენ ამ მიწას გაჩანაგებას და გავერანებას, და დაიშრიტება მისი ამაყი ძღვევამოსილება და დაცარიელდება ისრაელის მთები... ყველა სიბილწისათვის, რასაც ისინი სწადიოდნენ“ (იხეზუკიელი, 33:25,26,28).

და მაინც... როგორ გავუძეღ, როგორ მოვედი დღემდე?

როგორ არ ჩავიკარგე უმშობლოდ და უსაყრდენოდ, თუნდ ბნელი შუასაუკუნეების ინკვიზიციის ჯურღმულეებში, ან ხაკისფერმუნდირიან, ადამიანის სახედაკარგულ ნადირთა ხროვაში, როგორ ვუძლებდი დევნაპოგრომებს, უსაბაბო თუ უმიზეზო ბრალდებებს?! ან, სულაც, როგორ არ აღვირიე მსოფლიო ხალხებში, არ გავითქვიფე, არ მოვშთი და ამოვნიდი?! ყველა წესით თუ უწესობით, ნისქილის ბორბლის წაღმა-უკუღმა ტრიალით, მე აღგვილი უნდა ვიყო პირით მიწითგან, აღარ უნდა ვენერო მსოფლიო ხალხთა სიამი, კაი ხნის გადაშენებული ვიყო ამ ოლაიმიდან\* შუმერებივით, ასურელებივით, ლათინებივით, ხეთებივით, ფინიკიელებივით...

მაშ, რამ დამარჩინა?

ეგებ, ჩემში ბუნებრივად ჩაზრდილმა, მამა-აბრაამის ჩათესილმა სიკეთისა და კაცთმოყვარეობის მადლმა?... ან, მიცრაიმის\* ხიზნობაში გამობრძმედილმა მოთმინებისა და თავდაცვის თანმოყოლილმა ინსტიქტმა?... თანაც, მე ხომ არასოდეს ველტვოდი სხვის დაჩაგვრას, არც სხვათა მიწების დასაპყრობად ამიმართავს ჩემი, არც ღალატი გამივლია გულს, არც მზაკვრობა ჩამიდენია, მეტ მარილსა და ფერადოვნებას ვმატებდი კი, სადაც მიცხოვრია და ჩემი დღის ლოცვაც ხომ მოყვასის გაძლიერებისა და მტრის შემორიგების სურვილით იწყებოდა... ეგებ, სწორედ იმ ძველი ცოდვების მოსანანიებლად და ამ განწმენდისათვის მამზადებდა ყოვლისშემძლე, როცა სასწაულებრივ გამოყვადი გალუთიდან\*, და ფენიქსისებრ, ფერფლიდან წამომდგარს მპარუნებდა რძისა და თაფლის ჩემს მიწაზე, და მაძლევდა კიდევ ერთ, მაგრამ ან უკვე უკანასკნელ შანსს!

„ დაგაჯი ჩემი სამართალით, მაგრამ განადგურებით არ გაგანადგურებ“ (ირმიაჰუ, 46:26).

ნუ გაჰყურებ აღფროვანებით და ნუ გიკვირს ეს ცათამბჯენები, ეს ქალაქები და დავარცხნილი კიბუცები,\* უდაბნო, ოაზისად ქცეული, მინდვრები, ედემ-ბალები, ეს ნაყოფია ჩემი ნიჭის და შრომის... აქ მე წვიმის წყალს ვაგროვებ, და წვეთ-წვეთ, დროის დადგენილი ინტერვალებით, ვუნანილებ თითოეულ ხეს, ბუჩქს, ყვავილნარს... არც მეტად ვანებვირებ, მაგრამ არც არაფერს ვაკლებ; ამადაცაა, ჩემი მეცადინეობით ბუნების სიმკაცრე რომ შევანელო, შევცვალო და თავდაპირველი იერი დავუბრუნე... ჩემი ისრაველი უდაბნო კი არ ყოფილა სულ, ტყეთა ზოლებით იყო დასერილი მისი ბორცვები და გორაკები, მაგრამ ორი ათასი წელი ცოტა არაა; აქ მოსული კი მტარვალად და მტაცებლად აწვა ჩემს კარმიდამოს, არც არაფერი შემატა, უმონყალოდ ჩეხა და მიწამა მინა-მარჩენალი, უდაბნოდ მიქცია ერთ დროს ნალკოტი, და ახლა, როცა დაინახა რუდუნება ჭემმარტი პატრონისა, დასაკუთრება მოინდომა... აქამდე სად იყავ, „ ბიძაშვილო“, ნეხვსა და სკორეში რომ იხრჩობოდი?... მაგრამ, ასე ყოფილა მიწყევ, ოდენ აბორიგენს შესტიოდლა გული, ოდენ შვილს სტიოდლა დედის და დედას შვილის, სხვა, უცხო და დამპყრობი, გაღლეთაზეა, იცის, დროებითია მისი ბოგინი, წამსვლელია მაინც...

და, სხვა თუ არაფერი ეს ხომ მაინც, ჩანერილია და გააზრება უნდა მხოლოდ, რომ

„ მე-7 საუკუნეში დაობლებულ, უპატრონო ქვეყანაში მომთაბარე ბედუინებმა თავის თხებს შეაჭამეს ბალახის უკანასკნელი ღერო“ (!) ... (როცა მთლიანად მოიშალა ერთ დროს მაღალგანვითარებული, ჰიდროტექნიკური სისტემა), რომ

„ თურქებმა, მე-16 საუკუნეში საბოლოოდ მოსპეს საქვეყნოდ განთქმული ლიბანის კედართა კორომები“ (რითაც შენდებოდა და პირკეთებოდა იერუსალიმის ულამაზესი ტაძარი...

და რაც ერთი ნათელი მაგალითია ყველა მოსულის ვინრო თვალსანიერისა - „ ტყე შეუნახე შვილებსა“ არაა



და არც არასოდეს ყოფილა უცხოტომელთა ლოზუნგი და დევიზი!).

აქაა ჩემი სახლი...

როცა დავბრუნდი, არც კედლები ჰქონდა ამ სახლს, არც ჭერი, ერთი ფარლალა კარი და მაცყლის ბუჩქი ვარვარებდა დედაბოძივით, ცეცხლი რომ ეკიდა და... არკი ინვოდა! ეს იყო ის ფუძე, საძირკველი, ცხადად და სიზმრად რომ მიზიდავდა, ის შუქი, სამყაროს ნებისმიერი წერტილიდან სხივად რომ მეღაცეცებოდა, მარადიულ სინათლედ, გზის მანათობელ ღრუბლის სვეტად, მეგზურად და მეხამრიად რომ დამყვებოდა მსოფლიო გზებზე.

ერთხელ მომე სინაის უდაბნოში, ხორევის მთის მახლობლად, თავისი სიმამრის, ითროს ცხვარს მწყემსავდა და იხილა უჩვეულო მოვლენა: მაცყლის ბუჩქს(ივრ. „ სნე“) ცეცხლის ალი მოსდებოდა, მაგრამ არ ინვოდა. - ესლა წადი ფარაონთან და გამოიყვანე ჩემი ხალხი, შვილები ისრაელისა ეგვიპტიდან - მოესმა ხმა მაცყლოვანიდან მოშეს.

„ სნე“ სიმბოლოა ჩვენი მარადიული არსებობისა - ორი ათასი წელი გალუთის ცეცხლი გვეკიდა, მაგრამ არ ვინვოდით!

აი, ასე, ამ სახლის ხსოვნის, ამ კარმიდამოს იმედად ვიარებოდი ხიზნად და „ მსოფლიო მგზავრად“ 20 საუკუნე და... მოვალნიე დღემდე.

ჩემი გადარჩენა სასწაულია, ერთი იმ სასწაულთაგანი, რომელსაც იშვიათად, ან სულაც ვერ ვიჯერებთ, თუ საკუთარი თვალთა არ ვიხილეთ.

არადა, ეს ხომ მირაჟი აღარაა, ეს ხომ ხილული და ხელშესახებია, რომ ოცნება, რომელიც მუდმივად თან გვსდევდა, როგორც მზის სხივი, როგორც მთვარის არილი უკუნეთში, ახდა!

\*ტალი - ცის ნაძი  
\*ოლამი - სამყარო  
\*მიცრაიმი - ეგვიპტე  
\*გალუთი - უცხოობა, ხიზნობა  
\*კიბუცი - სასოფლო სამეურნეო გაერთიანება



ერთი ადამიანის მხსნელი  
სამყაროს მხსნელია



4 აგვისტოს დაიბადა ადამიანი, რომელმაც 1944 წ. გერმანელ ფაშისტთა სიკვდილის კლანჭებიდან ძალიან ბევრი ებრაელი იხსნა. ის გახლავთ ებრაელთა მხსნელი, რომელსაც ებრაელობა მართალთა ნოდებას ანიჭებს — ზოგიერთი მონაცემებით ამ ადამიანმა 100 ათასი ებრაელის სიცოცხლე გამოსტაცა ფაშისტებს. ეს ევროპელი დიპლომატი ერთხანს ხაიფაში, არლოზოროვის ქუჩაზე ცხოვრობდა — თუ ოდესმე ამ სახლის წინ მოგიწევთ გავლა, შეჩერდით და პატივი მიაგეთ მის ხსოვნას. დღეს ამ ადამიანის ძეგლი დგას ლონდონში, სტოკჰოლმში, ნიუ-იორკში, მოსკოვში, ბუდაპეშტში, ბრატისლავაში. ამ ადამიანის სახელობის ქუჩებია ნიუ-იორკში, ტორონტოში, პრაღასა და ბერლინში.

ამ ადამიანს ერქვა რაულ ვალენბერგი — შვედი დიპლომატი გახლდათ. მისი კვალი ომის შემდგომ საბჭოთა გულაგში იკარგება — საბჭოთა არმია რომ ბუდაპეშტში შევიდა, ვალენბერგი „სმერშ“-მა („სმერტ ფაშისტამ“) დააპატიმრა. ვარაუდობენ რომ 1947 წ. სიკვდილით დასაჯეს.

ცისანა კანაშვილის ახალი ნახატი



ქებათა-ქება შელოძო მეფისა  
„ქეამბოროს ჩეხი მეტრეე თავის ბაგეთა ამბოროთ,  
ზამეთუ ღვიზონე უკეთესია შენი აღერსი!..“

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი  
„ხესედ ელიაჰუ“  
აცხადებს ვაკანსიას დირექტორის თანამდებობაზე.

„ხესედ ელიაჰუ“ რეგულარულად სთავაზობს 1000-ზე მეტ, თემის ადგილობრივ წევრს, ჰუმანიტარულ და სოციალურ პროგრამებს; რომელთა ორგანიზება ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო დონორებთან თანამშრომლობით.

თუ თქვენთვის სულერთი არ არის ადგილობრივი ებრაული თემის მომავალი და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობა, თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია დაეხმაროთ და თქვენი წვლილი შეიტანოთ ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების პროცესში, ეს პოზიცია ნამდვილად თქვენთვის არის!

ძირითადი მოვალეობები:

- ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა/შემუშავება, კონტროლირებადი ოპერაციული საქმიანობა
- ფინანსების, პროგრამებისა და თანამშრომლების ოპერატიული მართვა
- პარტნიორული ურთიერთობების განვითარება და რესურსების მოზიდვა, დასახული მიზნების მისაღწევად; მუდმივი კონტაქტი დონორებთან
- ფინანსური, პროგრამული, ადმინისტრაციული ანგარიშგება დონორებთან, სახელმწიფო უწყებებთან
- საჭიროებისამებრ, შესყიდვებისა და ტენდერების ჩატარება, ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობის უზრუნველსაყოფად
- მჭიდრო თანამშრომლობა ებრაულ ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტის ორგანოებთან, წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულება

ძირითადი მოთხოვნები თანამდებობის დასაკავებლად:

- უმაღლესი განათლება
- ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება
- თანამშრომელთა ჯგუფის (20 ან/და მეტი) მართვის გამოცდილება
- პარტნიორებთან მოლაპარაკებების წარმატებით წარმართვის გამოცდილება, რომელიც დასრულდა ერთობლივი პროექტის განხორციელებით
- ადგილობრივი ებრაული თემის ცხოვრების საქმის კურსში ყოფნა; ებრაული ტრადიციების მიმდევრობა ჩაითვლება უპირატესობად


პირადი თვისებები, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია:

- გამჭრიახობა და ინიციატივის გამოჩენა
- მოქნილობა და დიპლომატიურობა
- ახალი იდეებისა და ინიციატივების განვითარებისთვის მზაობა
- სხვადასხვა სოციალურ გარემოში ინტეგრაციის უნარი

ჩვენ გთავაზობთ:

- კარგი სამუშაო პირობები და შესაბამისი ანაზღაურება
- პირადი და პროფესიული ზრდის კარგი შესაძლებლობები, და რაც მთავარია, საინტერესო იდეებისა და პროექტების რეალიზება

თუ თქვენ ფლობთ საჭირო გამოცდილებას და გსურთ ჩვენთან ერთად იაროთ მაღალი ღირებულებისა და სტანდარტებისკენ, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) შემდეგ მისამართზე: JDC.28.02C@applynow.io



გაზეთ „მენორა“-ს რედაქცია იუნწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის ებრაული თემის ღირსეული წარმომადგენელი, თემის ავ-კარგის გამზიარებელი და მასზე მზრუნველი, გაზეთ „მენორა“-ს ავტორი **სოსო (იოსებ) აჯიაშვილი** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაგვუპნებალნი და  
გამომცემალნი:  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>,  
ტელეფონები: 299.90.96



რეგისტრირებულია  
ქ. თბილისის მთაწმინდის  
რაიონის სასამართლოს  
მიერ.  
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი  
გურამ ბათიაშვილი  
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16  
8-557  
9771987898003